ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

28 ივნისიდან ჰაერის ტემპერატურამ შესაძლოა 41 გრადუსს მიაღწიოს

დაავადებათა კონტროლის ცენტრი მოსახლეობას აფრთხილებს გვ.3

26 ივნისიდან

იორამ ჩადუნელი

საზღაური

ქართული დეტექტივი ტომი 3



ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

ხუთშაბათი, 28 ივნისი, 2018 №151 (7696) ფასი: 50 თეთრი

გია ხუხაშვილი: „ივანიშვილს გახარია მე გავაცანი“

გვ.2

„დეპუტატებმა ცხოვრება მოიწყეს და თვითლიკვიდაციას არ გამოაცხადებენ“

„ბახტაძე არ არის „ქართუს“ კადრი, ივანიშვილმა 2013 წელს გაიცნო“

პაატა ზაქარეიშვილი: „ტატუნაშვილი-ოთხოზორიას სია ზიანს მოგვიტანს“ გვ.3

„რუსეთი აფხაზეთის ეკლესიის აღიარებას არ აპირებს“ გვ.4

სამართალი

რა უთხრა „პიკასოს“ მკვლელობის მცდელობისთვის დაკავებულმა ადვოკატს



პედაგოგებისა და კლასელების შესაძლო ძალადობა არასრულწლოვანზე — შსს-მ გამოძიება დაიწყო გვ.7

ნენე დალაქიშვილის მიმართ შესაძლო მუქარაზე გამოძიება დაიწყო

ეკონომიკა გვ.5

საქართველოში გზების ნაწილი ფასიანი გახდება

მოქალაქეებს თვითნებურად მოწყობილი კონდიციონერისა და გამათბობლების მოხსნა მოუწევთ გვ.6

„ქართუს“ რეზერვი ამოიწურა და ნურც ის გაგიკვირდებათ, თუ ამ ბანკის მზარეულს ვიხილავთ მინისტრთა კაბინეტში“ გვ.6

ISSN 1987-9385

8 პუტინმა ჩრდილოეთ კავკასიაში ახალი წარმომადგენელი დანიშნა

5 ოკუპირებულ აფხაზეთს ბულგარეთის და თურქეთის იმედი აქვს

8 რუსეთი უკრაინაში რელიგიური შუღლის გაღვივებას ცდილობს

7 გიორგი გახარია: „ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმეზე რამდენიმე ახალი დაკავებული გვყავს“

გია ხუხაშვილი: „ივანიშვილს გახარია მე გავაცანი“



„დეპუტატებმა ცხოვრება მოიწყეს და თვითლიკვიდაციას არ გამოაცხადებენ“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო გია, რამდენად რეალური შეიძლება იყოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები?

– ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ნაკლებად სავარაუდოა. ძალიან თეორიულად მეჩვენება. ვინც ამაზე საუბრობს, ის უფრო პოლიტიკურ განცხადებას აკეთებს, ვიდრე რეალობიდან გამომდინარეს.

– მაგალითად, რატომ არა?

– ძალიან ბევრი მიზეზიდან გამომდინარე: ერთ-ერთი, პოლიტიკური საფუძველი არ არსებობს. ვინც ამას ითხოვს, ძალიან მაინტერესებს, ვისი იმედით ითხოვს, რადგან მულტიპარტიული სისტემის ჩამოყალიბების, კონკურენტული არჩევნების ჩატარების საფუძველი დღეს ქვეყანაში არ არსებობს. 2020 წლისთვის კიდევ არის შანსი, რომ ეს შეიქმნას. სახელმწიფოებრივად, დღეს, რიგგარეშე არჩევნების ჩატარება დამაზიანებელი იქნება და არ არის სასურველი.

– ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ვადამდელი არჩევნებით ხელისუფლება ახალ ლეგიტიმაციას შეიძენს და პოზიციებს გაიმყარებს.

– როდესაც ვხედავთ მცდელობას სტრუქტურული, სახელისუფლო რეფორმის ჩატარების, ამ ეტაპისთვის ეს სავსებით საკმარისია. პროცედურულადაც აბსოლუტურად გაუგებარია. პრეზიდენტს ამ აქტის გამოცემა არ შეუძლია გადადგომამდე ბოლო 6 თვის განმავლობაში. შესაბამისად, საინტერესოა, რა სამართლებრივი მექანიზმი რჩება?!

თანაც, ძალიან არარეალურად მიმაჩნია, რომ დეპუტატებმა, რომლებმაც ცხოვრება მოიწყეს, ახლა თვითლიკვიდაცია გამოაცხადონ. ამიტომ, ვფიქრობ, რომ რიგგარეშე არჩევნების თემა ხელოვნურად არის შემოგდებული და მას რეალური საფუძველი არ აქვს.

– შესაძლოა, ივანიშვილს არ მოსწონს პარლამენტში უმრავლესობის სახით წარმოდგენილი გუნდი და ეს იწვევს ამ აზრის გახმოვანების საფუძველს.

– არა მგონია. შეიძლება მას მართლაც არ მოსწონდეს ეს გუნდი და თავისი შეხედულება ჰქონდეს ამ გუნდზე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის ვერ ხედავს, რა შეიძლება ამ ყველაფერს მოჰყვეს.

ახლა მთელი აქცენტი სწორედ იმ რეფორმაზე უნდა გაკეთდეს, რაც ახალმა პრემიერმა შემოგვთავაზა. ეს იდეა, ვგულისხმობ მცირე მთავრობის კონცეფციას, ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ საჭიროა, სწორად გაკეთდეს ეს რეფორმა.

– თუ ბიუროკრატია არ იცვლება, მაშინ 120 მილიონის დაზოგვა როგორ მოხდება. არ ფიქრობთ, რომ ცოტა გაუგებარია ეს?

– ამ ტიპის რეფორმა ორი ნაწილისგან შედგება. შედარებით ეფექტური მმართველობა რომ მივიღოთ, ორეტაპიანი პროცესი უნდა გავიაროთ. პირველი არის გამსხვილება. დუბლირებული ფუნქციები არ უნდა იყოს. მეორე ეტაპი არის, თუ როგორ მოხდება გამსხვილება, სამინისტროებში შიდა რეორგანიზაციის პროცესი როგორ განვითარდება. ამ მხრივ ჩვენ ძალიან ცუდი გამოცდილება გვაქვს. ხშირ შემთხვევაში ეს პროცესი მექანიკურად ხდება, რაც შედეგს არ იძლევა.

– ამის მაგალითი იყო თუნდაც კვირიკა შვილის პრემიერობის დროს ორი სამინისტროს გაერთიანება, მაგრამ ამის შედეგი რა იყო, მოქალაქეებმა არ იციან.

– დიახ. ამიტომ ვამბობ, ეს არ უნდა იყოს მექანიკური პროცესი. თუ მექანიკური იქნება, მაშინ არც ფინანსური შედეგი, ეკონომია იქნება და არც ეფექტურობა იქნება, რისი არაერთი პრეცედენტი ვნახეთ. პირველი ეტაპი ნამდვილად არის მისასალმებელი. მეორე ეტაპს როგორ გავივლით, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ ამას მოქმედებაში ვნახავთ და შევაფასებთ.

ხარჯების შემცირება თავისთავად საკადრო ოპტიმიზაციას გამოიწვევს, რაც 1–2% იქნება, რაც აუცილებელია და ეს უნდა გვესმოდეს. ხელფასების გარდა, არის ხარჯები, რომლებიც ოპტიმიზაციის ძალიან დიდ შესაძლებლობას იძლევა.

– მაგალითად, „შავი ჯიპები“.

– ეს იყო პოპულისტური თემა, საერთოდ არ ვიცი, კვირიკა შვილის ეს ინიციატივა რას ნიშნავდა. ვიღაც „ჭკვიანმა“, როგორც ჩანს, ურჩია, რომ ეს ეთქვა და ვიღაცას მოეწონებოდა. თეთრ ჯიპებზე გადაჯდომა გაცილებით მეტ ხარჯებს გამოიწვევდა და არა პირიქით. შავი ჯიპები ჰყავთ და თუ თეთრი გადაწყდებოდა, ეს მთლიანად ავტოპარკის განახლებას გამოიწვევდა, რაც უზარმაზარ ხარჯებს დაუკავშირდებოდა. ეს იყო შეფარული მავნებლობა.

– რომან გოცირიძე აცხადებს, რომ „ქართუს“ საკადრო რეზერვი ამოიწურა და არ გაგიკვირდეთ, თუ ამ ბანკის მზარეულს ვიხილავთ მინისტრთა კაბინეტში.

– ეს არის პოლიტიკური განცხადება და მე ამაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ.

– საუბარია უცხოეთში მოღვაწე ქართველების დაბრუნებაზე, რომელიც აპრობირებული მეთოდი იყო საკაშვილის მთავრობაში, მაგრამ ვერც ერთმა მინისტრმა ვერ გაამართლა.

– მე ასე ვერ ვიტყოდი. საკაშვილის მმართველობის პირველ, რომანტიულ პერიოდში, ქვეყანაში სერიოზული რეფორმა გატარდა. უცხოეთიდან ის ადამიანები ხელფასის გამო კი არ დაბრუნებულან, ძირითადად უცხოეთიდან ადამიანები ენთუზიაზმის გამო ბრუნდებიან. ენთუზიაზმი კი სახელმწიფო მმართველობაში ძალიან სასარგებლო ელემენტია. უცხოეთზე და იქიდან კადრების ჩამოყვანაზე აქცენტის გაკეთება, რაღაც კამპანიურ ხასიათს ემსგავსება.

რაც შეეხება „ქართუს“ რეზერვს და როდესაც ამაზეა მთელი აქცენტი, შემიძლია გითხრათ, რომ, მაგალითად, ბახტაძე არ არის „ქართუს“ რეზერვი. მას „ქართუში“ არც ერთი დღე არ უმუშავია. მეტიც, ბიძინა ივანიშვილი მას 2013 წლამდე არც კი იცნობდა. არც გახარია არ არის „ქართუს“ კადრი. კი ამბობენ, მაგრამ ასე არ არის.

– გახარიას ხომ აქვს ახლო ურთიერთობა ბიძინა ივანიშვილთან?

– ბიძინა ივანიშვილი გიორგი გახარიამ 2013 წელს გაიცნო.



– ნამდვილად იცით ეს ფაქტი, ბატონო გია?

– მე გავაცანი და როგორ არ ვიცი. შეგიძლიათ ნამდვილად დამიჯეროთ.

– ჩვენ გვითხრეს, რომ მთელი ეს პროცესი ეკონომიკურ მდგომარეობას, იუნისეფის ანგარიშს მოყვა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ პროცესის დეტონატორი უსამართლობის განცდა იყო. თუ ძალოვან სექტორში, სასამართლო სისტემაში რეალური რეფორმა არ გატარდა, ეს ხომ მხოლოდ ორთქლის გამოშვება იქნება?

– მაშინ მთელი ეს რეფორმა წარუმატებელი იქნება. ჩვენი უმთავრესი და ფუნდამენტური პრობლემა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირებაა. თუ ეს ვერ მოვახერხეთ, სხვა მიმართულებით წარმატებული, კარგად გაკეთებული საქმეც კი შეიძლება ჩაფლავდეს.

სასამართლო არის ბოლო ინსტანცია. თუ ბოლო ინსტანციაში ყველაფერი დალაგებული არ გაქვს და მის მიმართ ადამიანებს ნდობა არ აქვთ, მაშინ ვერც ეკონომიკა განვითარდება, ვერც სოციალური სამართლიანობა დამკვიდრდება და ვერც ვერაფერი სხვა.

მართლმსაჯულების რეფორმა აუცილებლად არის ჩასატარებელი. თუ ეს ვერ მოახერხა ხელისუფლებამ, მაშინ ის განწირულია.

მამუკა ბახტაძე: „მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება დროულად დასრულდეს ანაკლიის პორტის მშენებლობა“

პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ 27 ივნისს, სამეგრელოში, მოსახლეობასთან შეხვედრისას ანაკლიის პორტის შესახებ ისაუბრა. პრემიერის თქმით, ღრმაწყლოვანი პორტი საქართველოს დაეხმარება, რომ სატრანსპორტო პოტენციალი უკეთ გამოიყენოს.

– ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება მალე დასრულდეს ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა. საქართველოში სასიცოცხლოდ გვჭირდება ღრმაწყლოვანი პორტი, რათა ჩვენი ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალი უკეთესად ავითვისოთ.

ფოთის და ანაკლიის პორტები ერთად უზრუნველყოფს იმას, რომ გვქონდეს უნიკალური სამრეწველო პოტენციალი. სამეგრელოში სამრეწველო პოტენციალი გახდება გარანტი იმის, რომ ჩვენი ეკონომიკა კიდევ უფრო კონკურენტუნარიანი გახდეს, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

ქართული მედიის ნაწილი ბოლო პერიოდის განმავლობაში წყაროებზე დაყრდნობით ავრცელებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ანაკლიის პორტის ნაწილი ყოფილ პრემიერ გიორგი კვირიკაშვილსა და ბიძინა ივანიშვილს შორის დაპირისპირების საგანი იყო. ამ ინფორმაციის მიხედვით, ივანიშვილს კვირიკაშვილთან კრიტიკული კითხვები ჰქონდა პორტის მშენებლობასთან დაკავშირებით.

ანაკლის განვითარების კონსორციუმის ინფორმაციით, ამ ეტაპზე ანაკლიაში ღრმაწყლოვანი ნავსადგურის პირველი ფაზის სახმელეთო სამუშაოები მიმდინარეობს, რომელიც 2017 წლის 22 დეკემბერს დაიწყო.

ნავსადგურის მშენებლობის პირველი ფაზის დასრულება და პორტის ოპერირების დაწყება 2020 წლის ბოლოსთვის იგეგმება.

ანაკლიის პორტის მაქსიმალური გამტარუნარიანობა, მთავრობის გათვლებით, 100 მლნ ტონა იქნება. თუმცა ცხრა ეტაპად გაწერილი მშენებლობის პირველი სამი ეტაპი, მშენებლობის დაწყებიდან 12 წლის ვადაში, არანაკლებ 40 მლნ ტონა ტვირთის გამტარუნარიანობას უზრუნველყოფს (მესამე წელს – 7 მლნ ტონას, მეშვიდე წელს – 20 მლნ ტონაა და მეთორმეტე წელს– არანაკლებ 40 მლნ ტონისა).

ქეთევან ციხელაშვილი: „დაშორიშორებული საზოგადოებების ერთმანეთთან შესარიგებლად ყველაფერს გავაკეთებთ“

საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში ქეთევან ციხელაშვილმა „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიასთან“ დაკავშირებით აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაზე მედიასთან კომენტარი გააკეთა.

– ეს სია არის სამართლის აღსრულების ხელშეწყობისა და მსგავსი დანაშაულებების პრევენციის ერთ-ერთი ინსტრუმენტი. ჩვენ ვერ და არ შევურიგდებით უსამართლობას, დანაშაულს, კრიმინალს, ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევას, სიცოცხლის მოსპობას, არაადამიანურ მოპყრობას, წამებას და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ დამნაშავეები დაისაჯონ, მართლმსაჯულება აღსრულდეს და დავიცვათ მოსახლეობა ხელოვნური გამყოფი ხაზის როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს.

ამასთან, ყველაფერს გავაკეთებთ ამ ხაზებით დაშორიშორებული საზოგადოებების შერიგებისა და მათი მშვიდობიანი, უსაფრთხო და განვითარებული მომავლისთვის. ეს ორი სხვადასხვა რამაა: სამშვიდობო პოლიტიკა და კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლა.

ციხელაშვილი ამბობს, რომ „უმჯობესი იქნება, ის ფორმატები, რაც არსებობს, მათ შორის ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი (IPRM) და ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები, სადაც ქართული მხარე აგრძელებს კონსტრუქციულ ჩართულობას, გამოყენებულ იქნას დღის წესრიგში არსებული მნიშვნელოვანი საკითხების არსებითად განხილვისა და პრობლემების რეალურად მოსაგვარებლად, რომ ადამიანებს შევუმსუბუქოთ ისედაც მძიმე ყოფა, როგორც ჰუმანიტარული, ისე უსაფრთხოების და სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით.“

აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის საგარეო უწყებამ ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიაში 33 ადამიანის შეყვანასთან დაკავშირებით საქართველოს პრემიერ-მინისტრის, მამუკა ბახტაძის განცხადებას განცხადებით უპასუხა და საქართველოს ახალი პრემიერი არაკონსტრუქციულობაში დაადანაშაულა.

27 ივნისის, გალში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) ფარგლებში დანიშნული შეხვედრა ჩაიშალა. რუსულმა და აფხაზურმა მხარეებმა 27 ივნისის შეხვედრა ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიის გამო დატოვეს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

პაატა ზაქარეიშვილი: „ტატუნაშვილი-ოთხოზორიას სია ზიანს მოგვიტანს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.

– ბატონო პაატა, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიაში“ შეყვანილი პირებიდან რამდენიმე მათგანი ცოცხალი არ არის. მკვდარი სულები შეიყვანა „ოცნებამ“ სიაში? რას ფიქრობთ ზოგადად ამ სიაზე და რისი მომტანია ყოველივე ეს?

– თუ ნაციონალურ მოძრაობაში გულისხმობთ ნაციონალურ მოძრაობას და ე.წ. ევროპულ საქართველოს, მაშინ არც არაფერი ევროპული არაა და არც არაფერი ქართული. მათი მხრიდან კრიტიკა არასერიოზულია. მათ დროს წელიწადში ათეულობით ადამიანი იღუპებოდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე და ხელი არ გაუნძრევიათ, გვარებიც კი არ ვიცით! მე კი ვიცი, ყველა მიწერია, მაგრამ მათ გვარებიც კი არ იციან. როცა დღეს მთელმა მსოფლიომ იცის ტატუნაშვილის, ოთხოზორიას და ბაშარულის გვარი!

– ამით რისი თქმა გსურთ?

– მათ რომ თავის დროზე მსგავსი სია შეედგინათ, დღეს ტატუნაშვილი, ოთხოზორია და სხვები ცოცხლები იქნებოდნენ! ახლა უნამუსობა და უსინდისობაა მათი მხრიდან კრიტიკა! ეს ერთი. მეორე საკითხი, თუ ამ სიაში მკვდარი სულები მოხვდნენ, ეს სამარცხვინოა მართლა. ეს საკითხი უკვე ამ ხელისუფლებას ეხება. 33 კაცია სიაში, თუ ეს სია ასე ზერელედ გაკეთებულია, იქ მართლაც არის გარდაცვლილის გვარი და ძალიან არასერიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებს ჩვენი ხელისუფლების ასეთი მოქმედება და უპასუხისმგებლობა ოთხოზორიას, ბაშარულისა და ტატუნაშვილის ხსოვნის წინაშე! მეტი სერიოზულობა იყო საჭირო ამ მიმართულებით. ამიტომ ჯობია, თავად ხელისუფლებამ აგვიხსნას, რაშია საქმე, შეიძლება სხვა გვარებზეა ლაპარაკი და ჩვენ სხვა გვგონია.

– რუსული გვარებიც არ არის ამ სიაში, ასეთი პრეტენზიებიც გამოითქვა.

– რუსული გვარები თავისთავად არაფერს არ ნიშნავს. თუნდაც 5-კაციანი სია ყოფილიყო, ოღონდ გარანტირებულად მკვლელები ყოფილიყვნენ. რადგან თუ ამ სიაში შეყვანილი, რომელიმე მათგანი მკვლელი არ არის და მან გადალახა რუსეთის საზღვარი, წავიდა უცხოეთში და ის დააპატიმრა ინტერპოლმა საქართველოს მოთხოვნით. მერე იწყება შემდეგი პროცედურები და ინტერპოლი საქართველოს სთხოვს მტკიცებულებებს, რომ თქვენი მოთხოვნით ადამიანი დაპატიმრებულია და წარმოადგინეთ მტკიცებულებები, რომ ამ ადამიანს აქვს ჩადენილი დანაშაული. თუ საქართველომ თითიდან გამოწოვილი ფაქტებით სიაში შეიყვანა ადამიანი და ვერ დაუმტკიცა ინტერპოლს, რომ ეს ადამიანი დამნაშავეა, იმას გაუშვებენ. ხოლო თუ გაუშვებენ, ეს იქნება ძალიან სერიოზულად ეჭვქვეშ დაყენება ქართული პოლიტიკისა.

– არასერიოზულად მოეკიდა ხელისუფლება ამ ყველაფერს?

– მე დეტალები არ ვიცი. ჯერჯერობით ვარაუდებს გამოვთქვამ. თუ მართლა მკვდარი სულები შეიტანეს სიაში, ამის შემოწმება ძალიან იოლია. თუ მკვდარი სულები შეიყვანეს, მაშინ არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ უდანაშაულო ადამიანები შეეყვანათ.

– რა არის ამ სიის პლუსები, დადებითი მხარეები?

– ერთადერთი პლუსი ამ სიაში არის ის, რომ მას პრევენციული ძალა აქვს. ანუ მომავალში, მინიმუმის მინიმუმზე შეიძლება დავიდეს ამ ტიპის მკვლელობები. მე ეჭვი მეპარება, რომელიმე მათგანი გადმოსცენ საქართველოს. მე ეს ძალიან გამიხარდება, მაგრამ ეჭვი მეპარება ამაში.

– საუბარია იმის შესახებ, რომ შესაძლოა აფხაზურმა მხარემ თავისი სია დაუპირისპიროს ქართულ მხარეს. ამაზე რას იტყვით?

– საპირისპირო სია რა შეიძლება დაუპირისპიროს აფხაზურმა მხარემ? აფხაზური და ოსური მხარე არ არიან საერთაშორისო სამართლის სუბიექტები, ინტერპოლში ვერ წარადგენენ ვერანაირად მტკიცებულებებს. შეიძლება რუსეთმა გააკეთოს ეს ვარიანტი, რომ ვიღაცებზე აღძრან დევნა საქართველოში. თუმცა ეს უფრო ნაკლებად რეალისტურად მიმაჩნია. შესაძლოა ქართველებს აუკრძალონ მათ ტერიტორიაზე სიარული, ზოგი ბიზნესმენია, ზოგს ახლობელი ჰყავს და აღარ მიეცეს მათ ტერიტორიაზე შესვლის უფლება და ამით გაამწარონ ქართველები.

– ანუ ამ სიას აუცილებლად მოჰყვება გამოხმაურება?

– რაღაცას საპირისპიროს აუცილებლად გააკეთებენ, თუმცა მათ არანაირი ძალა არ გააჩნიათ, საქართველო დააზარალონ, თუ ვინმე არ შევიდა მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.

– ეს სია აუცილებელი იყო საერთაშორისო თვალსაზრისით?

– ამ სიის შედგენას არავინ არ მოითხოვდა ჩვენგან. ამ სიის შედგენა მოითხოვა ნაციონალურმა მოძრაობამ და „ქართულმა ოცნებამ“ შეასრულა ნაციონალური მოძრაობის დავალება. ეს რომ კარგი რამ ყოფილიყო, ნაცმოძრაობა თავის დროზე თვითონ გააკეთებდა ამას. აქედან არაფერი არ გამოვა. დღეს „ქართულ ოცნებას“ ეშინია ნაციონალური მოძრაობის ჩრდილისაც კი და სწორედ ამიტომაა, რომ იქიდან წამოსული ნებისმიერი პოზიცია, მათი მხრიდან უსიტყვოდ არის ხოლმე მიღებული.

– რატომ არ შეადგინა მსგავსი სია თავის დროზე ნაცმოძრაობამ?

– ისინი ამათგან განსხვავებით, უფრო ცბიერები არიან. იცოდნენ, რომ არაფრის მომტანი იყო. შედეგი არის ნული! მერე ამაზე უნდა ეგოთ პასუხი და ამიტომაც არ გააკეთეს.

– რა გამოდის, პრობლემა შეიძლება მეტი იყოს, ვიდრე შედეგი?

– ალბათ ასეა. პრობლემის მოგვარება ისედაც არ მიდიოდა წინ, მაგრამ ახლა უფრო გაჩერდება. მათი პირობა ალბათ იქნება ასეთი, ვიდრე სიას არ გააუქმებთ, ჩვენ ნაბიჯებს არ გადავდგამთ.

– მეორე მხარეც ხომ აქვს ამ ყველაფერს, დამნაშავე ხომ უნდა დაისაჯოს?

– გეთანხმებით, მაგრამ ჩვენ ვსაუბრობთ კონფლიქტურ ზონაზე. იქ იმდენი დამნაშავეა, ხომ გეუბნებით, ნაციონალების დროს ათობით ადამიანი იღუპებოდა და არც ერთი მკვლელი არაა დასჯილი. თუმცა კონფლიქტურ ზონაში სისასტიკით ხდება ადამიანების დასჯა. ეს არის დილემა, ეს არის ტრაგედია, ამიტომ არ უნდა ხდებოდეს ომები! ვინც ეს 2008 წელი დაუშვა, ვინც აჰყვა რუსეთს ამ პროვოკაციაში, ის არის მთავარი დამნაშავე!

ეს სია არ არის შედეგზე გათვლილი, ეს არის ქვეყნის შიგნით პროცესების არევაზე გათვლილი. დაძაბულობასა და არეულობაზე გათვლილი და ყოჩაღ, ნაციონალურო მოძრაობა და ევროპულო საქართველო! იმიტომ, რომ კარგად მართავენ სიტუაციას და ხელისუფლებასაც!

მარინე მიზანდარი: „სამინისტროს გაუქმება ნიშნავს, რომ ქვეყნისთვის კულტურა პრიორიტეტი არაა“

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი მარინე მიზანდარი, რომელიც 2012-დან 2014 წლამდე კულტურის მინისტრის მოადგილის თანამდებობას იკავებდა, მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობას გააზრებული არ აქვს კულტურის როლი. როგორც მიზანდარი ამბობს, ეს გამოჩნდა კულტურის სამინისტროს გაუქმებითა და მისი განათლების სამინისტროსთან შეერთების გადაწყვეტილებით.

ხელოვნებათმცოდნე მიიჩნევს, რომ არსებული ფორმითა და მენეჯმენტის პირობებში კულტურის სამინისტრო პოზიტიური ცვლილებების მომტანი არ იყო, თუმცა უწყების მთლიანად გაუქმება არაფერზე მიანიშნებს იმის გარდა, რომ საქართველოში კულტურა პრიორიტეტი არ არის:

– დღევანდელი კულტურის სამინისტრო რა სახითაც ბოლო წლების მანძილზე არსებობდა, ისეთი არის და იყო, რომ მისი ყოფნა-არყოფნა ზოგადად არაფერს ცვლიდა. მისი საქმიანობიდან გამომდინარე, დიდი სარგებელი არ მოჰქონდა. თუმცა, ზოგადად, ამ საჯარო უწყების, კულტურის სფეროში მოქმედი ინსტიტუციის გაუქმება, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდი ფაქტია და ნიშნავს იმას, რომ ქვეყნისთვის კულტურა არ არის პრიორიტეტი. ამით გამოჩნდა, რომ კულტურის როლი ჩვენს ხელისუფლებას არ ესმის სწორად. იმიტომ, რომ კულტურა ის ერთი-ერთი ბურჯია, რომელსაც ქვეყნის ეკონომიკური, მდგრადი, სიცოცხლისუნარიანი განვითარება უნდა დაეყრდნოს, – ამბობს მარინე მიზანდარი „ნეტგაზეთთან“ საუბრისას.

მიზანდარის თქმით, სამინისტროს გაუქმების ნაცვლად, ამ სფეროს ინსტიტუციური განვითარება უნდა მომხდარიყო, რაც ქვეყნის კულტურული პოტენციალის გამოყენებას შეუწყობდა ხელს:

– კულტურას არა მხოლოდ მატერიალური კუთხით შეუძლია ძალიან დიდი სიკეთის მოტანა, არამედ სოციალური განვითარებისთვისაც. სწორად თუ განვითარდებოდა ეს დარგი და ინსტიტუციურად კიდევ თუ გაიმართებოდა, თუნდაც, რეგიონებში უფრო მყარი კულტურული დეპარტამენტები თუ შეიქმნებოდა, რომლებსაც მეტი დამოუკიდებლობა და ფინანსური რესურსი ექნებოდა, მაგრამ ამის ნაცვლად ეს უწყება უქმდება, – ამბობს ხელოვნებათმცოდნე.

მიზანდარის თქმით, ორი ისეთი დიდი უწყების შეერთება, როგორიც განათლების სამინისტროსა და კულტურისა და სპორტის სამინისტროების გაერთიანებაა, ცალსახად გამოიწვევს კულტურის სფეროს დაკნინებას:

– კულტურა ყველა ასპარეზზე ძალიან მნიშვნელოვანია ყველა ქვეყნისთვის. იმ ქვეყნებმაც კი, რომლებსაც არ ჰქონდათ მდიდარი კულტურული ტრადიციები, შეძლეს კულტურის საინტერესოდ განვითარება რიგი დარგების წახალისებით. ესტონეთის მაგალითი რომ მოვიყვანოთ, დიზაინი გახდა მათთვის ბრენდი, ესტონური დიზაინი დღეს ცნობილია, მათ ამაში დიდი რესურსი ჩადეს.

ჩვენ ბევრი რამ გვაქვს, რაც საუკუნეებია მოგვდევს. თანამედროვე ხელოვნებაშიც ბევრი საინტერესო რამ ხდება. ამიტომ, ძალიან დასანანია ასეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუციონალური ცვლილება, რომელიც არა თუ წინ წაწევს დარგს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მის დაკნინებას შეუწყობს ხელს, – ამბობს მიზანდარი.

28 ივნისიდან ჰაერის ტემპერატურამ შესაძლოა 41 გრადუსს მიაღწიოს

გარემოს ეროვნული სააგენტო მოსახლეობას მოსალოდნელი მაღალი ტემპერატურის შესახებ აფრთხილებს. 28 ივლისს დასავლეთ საქართველოში ჰაერის მაქსიმალურმა ტემპერატურამ შესაძლოა +39, +41 გრადუსს მიაღწიოს.

აღმოსავლეთ საქართველოში 28 ივნისიდან 3 ივლისამდე +36, +41 გრადუსია მოსალოდნელი, თბილისში კი +37, +39 გრადუსი დაფიქსირდება.

დაავადებათა კონტროლის ცენტრი მოსახლეობას აფრთხილებს

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი, ამირან გამყრელიძე მაღალი ტემპერატურის გამო მოსალოდნელ პრობლემებზე საუბრობს.

ამირან გამყრელიძე მოსახლეობას ურჩევს, მოერიდონ მაღალი ტემპერატურის დროს მზეზე სიარულს, განსაკუთრებით ბავშვები, მოხუცები და ქრონიკული დაავადების მქონე ადამიანები.

– მაღალი ტემპერატურის დროს არის ორი საშიშროება, ერთი გახლავთ სითბური ტალღის ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე და ზოგადად ზაფხულში მაღალი ტემპერატურის დროს იმატებს რისკი სხვადასხვა ინფექციური დაავადების, რომლებიც ვრცელდება ძირითადად წყლით ან გადამტანი კოღოებით. ამიტომ ვურჩევ მოსახლეობას, მაღალი ტემპერატურის დროს შეინარჩუნონ სამუშაო და საცხოვრებელ ადგილზე კომფორტული ტემპერატურა, მოერიდონ თაკარა მზეზე სიარულს, განსაკუთრებით მოხუცები, ბავშვები და ქრონიკული დაავადების მქონე პირები, – განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

ნინო ბურჯანაძე: „ეტყობა, ჩვენს მინისტრებს ჰგონიათ, რომ ივანიშვილის იურისდიქცია საიქიოშიც გრძელდება“

– რა გააკეთა შს სამინისტრომ გიორგი გახარიას მინისტრობის პერიოდში ისეთი, რომ მთელ საზოგადოებას ზემოდან უყურებს და ასეთი აპლომბით ელაპარაკება ყველას?! – ასე ეხმაურება „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე „ოთხოზორია-ტატუნაშვილის“ სიაში გარდაცვლილი ადამიანების აღმოჩენას.

ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლება სამარცხვინო ვითარებაში იმყოფება და მინისტრებს მოუწოდებს, შეცდომების დაშვებისას მაინც შეიკავონ თავი ხმამაღალი განცხადებებისგან.

– ეტყობა, ჩვენს მინისტრებს ჰგონიათ, რომ ივანიშვილის იურისდიქცია საიქიოშიც გრძელდება. შერიგების მინისტრი აცხადებს, რომ ამ ადამიანების გარდაცვალების შესახებ წვდომა და ინფორმაცია ჰქონდათ, მაგრამ თურმე მტკიცებულება არ ჰქონდათ. უკაცრავად, მაგრამ ციხელაშვილს მაინცდამაინც კუბოში გადაღებული სურათი სჭირდებოდა?! ძალიან არ მინდა ამ თემაზე ცინიკური ვიყო, მაგრამ ჩვენი მთავრობა ცინიკურ დამოკიდებულებას ნამდვილად იმსახურებს, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

„რუსეთი აფხაზეთის ეკლესიის აღიარებას არ აპირებს“

გულიკო ბალაძე

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ გამახარია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს აფხაზეთში ქართული ეკლესიის მდგომარეობასა და საქართველოს ეკლესიის მხრიდან უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარების პრობლემაზე.

– ბატონო ჯემალ, რა მდგომარეობაში ამყოფებს რუსეთი ოკუპაციის პირობებში აფხაზეთში ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას? უკრაინის ხელისუფლება მოითხოვს უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობის მხარდაჭერას. ამბობენ, უკრაინა ჩვენი მეგობარია და რუსეთის ეკლესიისაგან უკრაინის ეკლესიის გამოყოფა უნდა ვაღიაროთ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ რუსეთი საბაბს ეძებს აფხაზეთის ეკლესიის აღიარებისთვის.

– 1992-93 წლების ომის შედეგად, როგორც ქართველმა მოსახლეობამ, ისე ქართული ეკლესიის ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიამ დატოვა აფხაზეთი. მაშინ მეუფე დანიელი გახლდათ ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის ხელმძღვანელი და ომის შემდეგ იძულებული გახდა აფხაზეთის ტერიტორია დაეტოვებინა. ომის შემდეგ აფხაზეთში დარჩა სულ ოთხი სასულიერო პირი. მათ შორის იყო ერთი აფხაზი ეროვნების მღვდელი მამა ბესარიონ აპლია, რომელიც ომიდან 5 წლის შემდეგ, 1998 წლიდან სათავეში ჩაუდგა ე.წ. თვითმარქვია სოხუმ-აფხაზეთის საეპარქიო საბჭოს.

– ერთი ქართველი მღვდელი ომის შემდეგაც ხომ დარჩა აფხაზეთში, მაგრამ ისიც გამოაძევეს.

– დიახ, ასეთი არაერთი შემთხვევა იყო, ქართველ მღვდლებს რომ აფხაზეთიდან აძევებდნენ. 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ, რუსეთის მიერ აფხაზეთის ვითომ აღიარებამ, სამწუხაროდ და საუბედუროდ, ეკლესიის საკითხშიც მეტი სიმწვავე და არეულობა შეიტანა. 2009 წლის 15 სექტემბერს ჩატარდა აფხაზეთის სამღვდელოების უკანონო საეპარქიო კრება. ასე დაარქვეს. მან მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს ეკლესიის ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის არსებობის შეწყვეტისა და ე.წ. აფხაზეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ბიჭვინთისა და სოხუმის ეპარქიის დაფუძნების შესახებ.

– ამის უფლება, ცხადია, არ ჰქონდათ.

– მღვდელმთავრის კურთხევის გარეშე არანაირი კრება არ ტარდება. მით უმეტეს, რომ ნამდვილი ეპარქია აფხაზეთის ტერიტორიიდან გამოძევებულია. თვითმარქვია ეპარქიამ მიზნად დაისახა ბიჭვინთის საკათალიკოსოს აღდგენა, ანუ ე.წ. ავტოკეფალიის აღდგენა.

ამ უკანონო გადაწყვეტილებას მოჰყვა რეაგირება ქართული ეკლესიის მხრიდან – სინოდის 2010 წლის 21 დეკემბრის განჩინებით, საქართველოს ეკლესიის ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია ეწოდა. მისი მართვა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ შეითავსა.

მთელი რიგი შიდა თუ გარე პოლიტიკური ფაქტორების ზეგავლენით, აფხაზეთის ისედაც მცირერიცხოვანი სამღვდელოება ორ ნაწილად გაიხლიჩა. თავიდან იქ ერთი აფხაზი მღვდელი იყო, მაგრამ შემდეგ მათ დაემატა რუსეთის სასულიერო სასწავლებლებში განათლებამიღებული პირები, რომლებიც რუსეთის ეკლესიამ აკურთხა.

ახლა აფხაზეთში რამდენიმე აფხაზი მღვდელია. ისინი ერთმანეთში ვერ მორიგდნენ და მოხდა განხეთქილება. 2011 წლის 15 მაისს, ახალი ათონის მონასტერში პირველი საეკლესიო-სახალხო კრება მოიწვიეს. საერთოდ, ასეთი ცნება საეკლესიო სამართალში არ არსებობს. „საეკლესიო-სახალხო კრება“ რას ნიშნავს, კაცმა არ იცის. ეს იყო ჩვეულებრივი მიტინგი, სადაც იყვნენ მორწმუნეებიც, ათეისტებიც, ქრისტიანებიც, მუსლიმანებიც და წარმართებიც.

– უბრალოდ, აფხაზების კრება ყოფილა.

– ამ მიტინგმა, რომელსაც კრება დაარქვეს, ჩამოაყალიბა ახალი ცენტრი – ე.წ. აფხაზეთის წმინდა მიტროპოლია. ე.წ. მიტროპოლიას სათავეში უდგას აფხაზეთის ისტორიის ნომერ პირველი გამყალბებელი, ქართული საეკლესიო ისტორიის ნომერ პირველი ფალსიფიკატორი არქიმანდრიდი დორეთე (დბარი). სამღვდელოების ამ მეორე ნაწილმაც მიზნად დაისახა აფხაზეთის ეკლესიის ე.წ. დამოუკიდებლობის აღდგენა

აფხაზური სამღვდელოების პირველი ნაწილი აპლიას ხელმძღვანელობით დამოკიდებულია რუსეთზე და რუსეთის საპატრიარქოს მფარველობას ეძიებენ. მეორე ე.წ. ეკლესიამ, „აფხაზეთის წმინდა მიტროპოლიამ“ გეზი მსოფლიო ეკლესიისკენ და მსოფლიო პატრიარქისკენ აიღო. ახლა ეს ორი დაჯგუფება უპირისპირდება ერთმანეთს. ამავე დროს ორივე დამოუკიდებლობას მოითხოვს.

– რუსეთი ოფიციალურად არ აღიარებს აფხაზეთის ე.წ. ეკლესიას.

– გარკვეული მოსაზრებებით, რუსეთი ჯერ აფხაზეთის ეკლესიის აღიარებას არ აპირებს. სიტყვიერად ასე ჩანს. საქმით კი, რუსეთის ეკლესია მართავს აფხაზეთში ე.წ. საეკლესიო საქმეებს ბესარიონ აპლიას თამადობით. მეორე ნაწილს კი, ბერძნული ეკლესია მართავს. უნდა მსოფლიო პატრიარქისაგან მიიღოს აღიარება.

– მსოფლიო პატრიარქის დამოკიდებულება როგორია?

– არც მსოფლიო პატრიარქი აღიარებს აფხაზეთის ეკლესიას, მაგრამ სამწუხაროდ და საუბედუროდ, იყო შემთხვევები, როცა მსოფლიო პატრიარქმა მიიღო აფხაზეთის ე.წ. მიტროპოლიის დელეგაცია, შემდეგ კიდევ ვიღაც წარმომადგენლები. ამ ე.წ. მიტროპოლიის წარმომადგენლები ძალიან დიდ იმედებს ამყარებენ საბერძნეთის ეკლესიასა და მსოფლიო საპატრიარქოზე.

– რას ეფუძნება მათი იმედი?

– რას ეფუძნება მათი იმედი, ჩემთვის გაუგებარია. არქიმანდრიტის ხარისხი დბარმა საბერძნეთში მიიღო, სადაც ის სწავლობდა და სადოქტორო დისერტაციაც დაიცვა. ხარისხიც იქ მიენიჭა. დბარის ეს სადოქტორო დისერტაცია არის ტყუილებით სავსე ნაშრომი. ანუ მთლად ისე მარტივადაც არ არის საქმე, როგორც ეს შეიძლება ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს.

– ანუ, ჩვენი მართლმადიდებლური ეკლესიის წინაშე სცოდავენ როგორც რუსეთის, ასევე საბერძნეთის მართლმადიდებლური ეკლესიები?

– ყოველ შემთხვევაში, რუსეთისა და საბერძნეთის ეკლესიებისაგან პრინციპულ პოზიციას ვერ ვხედავთ. ოფიციალურად აღიარებენ ჩვენი ეკლესიის მთლიანობას. ახლახან ბრძანდებოდა მიტროპოლიტი ემანუელი, რომელიც მსოფლიო საპატრიარქოს წარმოადგენდა. მან განაცხადა, რომ ყველა საკითხში ჩვენს გვერდითაა. თუმცა, აფხაზებისთვის პირდაპირ არ უთქვამთ, გაჩერდით, თავი დაანებეთ თვითნებობას, უკანონო ანტიკანონიკურ ქმედებებს და აღიარეთ თქვენი დედა ეკლესიაო. შეიძლება ეს რაღაც პოლიტიკური ნაბიჯია, რომ ეს ადამიანები საბოლოოდ რუსეთისკენ არ მიბრუნდნენ, მაგრამ ჩვენ ძალიან დიდი სიფრთხილე გვმართებს.

– უკრაინის ეკლესიის გამოყოფის საკითხის გამო დიდი სტუმრობები იყო რუსეთიდან და საბერძნეთიდან. ჩვენი ეკლესია ოფიციალურ განცხადებას არ აკეთებს, უკრაინა ჩვენი მეგობარია, მაგრამ იმ ფონზე, რაც ხდება ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, უკრაინის ეკლესიის აღიარება რამდენად მიზანშეწონილია?

– საკითხი ნამდვილად რთულია და ცალსახა პასუხი, ვაღიაროთ თუ არ ვაღიაროთ, არ არსებობს და ჩვენთვის შეიცავს გარკვეულ საფრთხეებს. ქართული ეკლესია ამ საკითხში ძალიან კარგად ერკვევა და არსებულ საფრთხეებს ითვალისწინებს.

სამწუხაროდ, დღეს უკრაინის ტერიტორიაზე არსებობს არა ერთი, არამედ სამი ეკლესია. ესენია, კიევის საპატრიარქოს მართლმადიდებლური ეკლესია, რომელიც იბრძვის დამოუკიდებლობისთვის. მას უკრაინის ხელისუფლება მხარს უჭერს. თუმცა, ჯერჯერობით, მას არავინ ცნობს. მეორეა, უკრაინის მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესია, რომელიც 1990 წელს ემიგრაციიდან დაბრუნდა და კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ემორჩილება. მესამეა, მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესია, რომელიც ფართო უფლებებით სარგებლობს, მაგრამ მაინც რუსეთის ეკლესიას ემორჩილება.

– სამივე ეკლესიის გაერთიანება უნდათ?

– მესამე ეკლესიასთან (რომელიც მოსკოვის საპატრიარქოს ექვემდებარება) გაერთიანება ძნელი წარმოსადგენია. კიევის საპატრიარქოს კიევის მართლმადიდებლურ ეკლესიასა და უკრაინის ავტოკეფალურ მართლმადიდებლურ ეკლესიის გაერთიანება სავსებით შესაძლებელია. პრინციპში ეს საკითხი გადაწყვეტილია და დიდ პრობლემას არ წარმოადგენს. მათთან მესამე ნაწილის გაერთიანება ყოველთვის ძალიან დიდი პრობლემა იქნება. საკითხი ასეთნაირად დგას: ვის აქვს უკრაინის ეკლესიის აღიარების უფლება? ახალი ეკლესიის აღიარების უფლება აქვს მსოფლიო საპატრიარქოს თუ დედა ეკლესიას?

– ვის აქვს ახალი ეკლესიის აღიარების უფლება?

– ეს არის პრობლემის ძირითადი არსი. უკრაინელები აცხადებენ, რომ მათთვის დედა ეკლესია არ არის რუსეთის ეკლესია, რომლის შემადგენლობაში იძულებით შეიყვანეს 1685 წელს (როგორც ჩვენ შეგვიყვანეს იძულებით 1811 წელს), არამედ კონსტანტინეპოლის ეკლესიას აქვს სრული უფლება, აღიაროს უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალია. რუსეთი ამას, ბუნებრივია, არ ეთანხმება, რადგან დედა ეკლესიად თვლის რუსეთის საპატრიარქოს და უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობის კატეგორიული წინააღმდეგია.

– მოსკოვის საპატრიარქოს მოსკოვის მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლი, ალბათ, რუსი მოსახლეობაა, რომელიც უკრაინაში ცხოვრობს.

– რუსი მრევლიც არის და სხვაც. იქ არა მხოლოდ მილიონობით ადამიანზეა საუბარი, რომელიც რუსული ეკლესიის მრევლია უკრაინაში, არამედ უზარმაზარ ქონებაზეც. უკრაინაში რამდენიმე ათასი ეკლესია და ტაძარია რუსული ეკლესიის დაქვემდებარებაში. რუსეთის ეკლესიას ექვემდებარება სამი ლავრა და მონასტრები. ამდენად, ყველა თვალსაზრისით ძალიან რთული საკითხია.

– ჩვენ რა ვქნათ? მოგეხსენებათ, ჩვენს ეკლესიას მომართეს, როგორც რუსული და ბერძნული ეკლესიის წარმომადგენლებმა. რუსეთი გვთხოვს, არ ვაღიაროთ უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობა, საბერძნეთი გვთხოვს, ვაღიაროთ.

– ეს არის მთავარი პრობლემა. მიმდინარე წლის 5 ივნისს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი შეხვდა რუსული ეკლესიის დელეგაციას მიტროპოლიტ ილარიონის ხელმძღვანელობით. ილარიონი, ფაქტობრივად, მეორე პირი გახლავთ რუსეთის ეკლესიაში და საგარეო საქმეებს კურირებს. ალბათ იცით, ილარიონი სულ პატარა ბიჭი იყო, როდესაც რუსეთიდან საქართველოში ჩამოიყვანეს. ის აქ გაიზარდა, აქ გახდა სამღვდელო პირი, ქართულიც იცის.

– რუსია თუ ქართველი?

– რუსია, რუსეთიდან ჩამოვიდა პატარა ბიჭი, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ჩვენი პატრიარქის თანაშემწე იყო. ახლა ის რუსეთის ეკლესიის ძალიან ცნობილი იერარქია, მეცნიერია. ახლა ეს პიროვნება ჩამოვიდა პატრიარქთან. არ ვიცით, დეტალურად მან რა თქვა. დიდი ალბათობით, საუბარი იქნებოდა მხარის არ დაჭერაზე უკრაინის ეკლესიების გაერთიანების საკითხში. ძალიან ზოგადად ამას ადასტურებენ საპატრიარქოს წარმომადგენლები.

16 ივნისს, თბილისში ბრძანდებოდა მსოფლიო საპატრიარქოს ორი მიტროპოლიტი მიტროპოლიტები ემანუელი და ბართლომეოსი. მსოფლიო პატრიარქის პოზიციაა, მან უნდა აღიაროს უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობა. კონსტანტინეპოლის საპატრიარქო ასევე თვლის, რომ ის არის უკრაინის ეკლესიის დედა ეკლესია. კონსტანტინეპოლის ეკლესია არასოდეს დათანხმებია რუსეთის მიერ უკრაინის ეკლესიის მიერთებას.

საერთოდ, უკრაინის ეკლესიას, თვითონ კიევის სამიტროპოლიტოს ძალიან რთული ისტორია აქვს. ეს სამიტროპოლიტო თვითონ რუსეთსაც მოიცავდა. იყო პერიოდი, როცა ის რომის ეკლესიას შეუერთდა, მაგრამ საბოლოო ჯამში, კონსტანტინეპოლის ეკლესიის დაქვემდებარებაში გახლდათ, როდესაც რუსეთმა ის მიიერთა.

როგორც კონსტანტინეპოლი, ასევე უკრაინა თვლის, რომ უკრაინის ეკლესიისთვის დედა ეკლესია კონსტანტინეპოლის ეკლესიაა და მას აქვს სრული უფლება აღიაროს. რუსეთი ამას არ ცნობს. ამ ვითარებაში ჩვენ ვართ ძალიან მძიმე მდგომარეობაში.

21 ივნისს ჩატარდა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომა, სადაც განიხილეს სამი წერილი – კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსისა და მსოფლიო პატრიარქის სამდივნოდან წერილი, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის საპატრიარქოდან და მესამე უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისა და მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებული ეკლესიის წერილი. პირველ წერილში არის თხოვნა აღიარების შესახებ, ხოლო იმ ორ წერილში საუბარია არაღიარებაზე. ოქმში წერია, რომ სინოდის წევრები გაეცნენ ვითარებას. არ წერია, რა გადაწყვეტილება მიიღეს. თუმცა, ირკვევა, რომ რაღაც ჯგუფი უნდა შეიქმნას, რომელიც ამ საკითხს შეისწავლის. ეს დროს მოითხოვს. შემდეგ მოვლენების განვითარებას დრო გვიჩვენებს.

ეს ჩვენთვის ძალიან მძიმე საკითხია. ერთი მხრივ, შეუძლებელია უკრაინის ეკლესიის არაღიარება, მეორე მხრივ, ეს გამოიწვევს აფხაზეთის ეკლესიის რღვევას. დე ფაქტო დარღვეულია, მაგრამ დე იურეც დაირღვევა. ამ შემთხვევაში საქართველოს ეკლესია იძულებულია, დაფიქრდეს და ძალიან ბრძნული გადაწყვეტილება მიიღოს. ქართული ეკლესია სწორედ ასე იქცევა.

ამ ვითარებაში დე ფაქტო აფხაზური ეკლესიები დიდ მოლოდინში არიან. თუ ქართული ეკლესია აღიარებს უკრაინის ეკლესიას, მაშინ რუსეთი აღიარებს აფხაზეთის ეკლესიას. თუ საქართველოს ეკლესიამ არ აღიარა უკრაინის ეკლესია, მაგრამ აღიარა კონსტანტინეპოლმა, მაშინ გაბრაზებული კონსტანტინეპოლი აღიარებს აფხაზეთის იმ ეკლესიის ე.წ. ავტოკეფალიას, რომელსაც ორიენტაცია მსოფლიო ეკლესიისკენ აქვს.

არ ვიცი, რას ეუბნებიან მსოფლიო პატრიარქი და საბერძნეთის ეკლესია აფხაზებს, მაგრამ ისინი აღიარების მოლოდინში არიან. ამ დროს რა გადაწყვეტილებაც უნდა მიიღოს საქართველოს ეკლესიამ – ის აღიარებს თუ არ აღიარებს უკრაინის ეკლესიას – ფიქრობენ, რომ მათთვის სასარგებლოა – ან ერთი გვაღიარებს, ან მეორეო.

გოგი წულაიამ ფოთის, ხაშურისა და წყალტუბოს საკრებულოებს მახათები გაუგზავნა

გოგი წულაიამ ფოთის, ხაშურისა და წყალტუბოს საკრებულოებს მახათები გაუგზავნა

პარტია „თავისუფალი საქართველოს“ იმერეთის რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, გოგი წულაიამ ფოთის, ხაშურის და წყალტუბოს საკრებულოების თავმჯდომარეებს მახათები გაუგზავნა.

– მახათები ვუყიდე და გავუგზავნე ხაშურის, ფოთის, წყალტუბოს საკრებულოებში. ბოდიშს ვუხდი, იმდენი უსაქმურია, ყველას ვერ გავწვდი და ვერ ვუყიდე, მაგრამ ვურჩევ, რომ სტერილიზაციის შემდეგ ერთმანეთს ათხოვონ და გამოიყენონ. ქუთაისს თვითონ ჩავუტან და მივცემ – ორი დიდი მახათია: ერთი საკრებულოს თავმჯდომარისთვის, ერთი კი ქალაქის მერისთვის, – განაცხადა გოგი წულაიამ.

მისივე თქმით, საკრებულოს წევრთა უსაქმურობის ერთ-ერთი გამოვლინება მათ მიერ ბოლო დროს მიღებული კურიოზული დადგენილებებია.

– წყალტუბოში მიიღეს დადგენილება, რომ ქათამს თურმე ნისკარტი არ უნდა მოაჭრა. ზუგდიდში კი გადაწყვიტეს, რომ მიცვალებულის მჯდომარედ დაკრძალვის წესი განსაზღვრონ. არა მგონია, რომ ამ საკრებულოებში ასეთი არაორდინარული, არაფრისმთქმელი და დამცინავი გადაწყვეტილების მიღების აზრი დაბადებულიყო. მგონია, რომ ეს თბილისიდან ერთი ხელით იმართება. ამ ხელისუფლების მოწინააღმდეგე ფლანგი აკეთებს თუ თვითონ ხელისუფლებაში არიან ისინი, ვინც ასეთ დადგენილებებს აღებინებენ, არ ვიცი. რაც არ უნდა თბილისიდან, ვაშინგტონიდან, მოსკოვიდან თუ მარსიდან დაგაძალონ ამგვარი სისულელის მიღება, პროტესტი როგორ არ უნდა გაგიჩნდეს?! არ ვიცი, საკრებულოებს მონობის ტესტს უტარებენ თუ თვითმმართველობის გაუქმება უნდათ, – განაცხადა ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში გოგი წულაიამ.

„რეგინფო“ წერდა, რომ ახალქალაქის, ხაშურის, წყალტუბოს და ფოთის საკრებულოებმა შინაურ ცხოველებს შეჯვარება და გამრავლება შეუზღუდეს. საკრებულოების მიერ მიღებული შესაბამისი დადგენილებების თანახმად, 2 წლამდე და 6 წლის ზემოთ ასაკის შინაური ცხოველების გამრავლება მხოლოდ წელიწადში ერთხელ დაიშვება, დაავადებული და დეფექტის მქონე ცხოველებისა კი საერთოდ იკრძალება. მანამდე, 4 მაისს, ზუგდიდის საკრებულომ მიცვალებულის მჯდომარე მდგომარეობაში დაკრძალვის წესი დაადგინა, ხაშურის და ხულოს საკრებულოებს მეტროსადგურებში დასუფთავების მოსაკრებელი ჰქონდათ დაწესებული, თელავის საკრებულოს დადგენილებით კი სოფელ იყალთოში მეტროსთან ჯიხურების განთავსება იყო აკრძალული.

ოკუპირებულ აფხაზეთს ბულგარეთის და თურქეთის იმედი აქვს

„ბულგარეთს შეუძლია გახდეს ფანჯარა ევროპაში“

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებული აფხაზეთი და სირია დამასკოსა და სოხუმში „საელჩოების“ გასახსნელად ემზადებიან. დაანონსებულია სირიის მეთაურ ბაშარ ასადის აფხაზეთში ჩასვლა. რუსეთთან გარიგებული სახელმწიფოების მხრიდან არაღიარების პოლიტიკის დარღვევის ფონზე უფრო გამომწვევი ხდება კონტაქტები საოკუპაციო რეჟიმთან.

აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის დელეგაცია ბულგარეთში იმყოფებოდა. ვარნასა და სოფიაში გაიმართა შეხვედრები ბულგარელ მეწარმეებთან.

პალატის პრეზიდენტის, **თამილა მირცხულავას** ინფორმაციით, აფხაზური დელეგაცია ბულგარეთში ვარნას სავაჭრო პალატამ მიიწვია. ვიზიტის მიზანი იყო კონტაქტების დამყარება და მეწარმეებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოება. ბულგარელებმა ნახეს ფილმი აფხაზეთის შესახებ. მასში ასახულია საინვესტიციო და ტურისტული შესაძლებლობები.

– ბულგარელმა მეწარმეებმა დაგვისვეს ბევრი შეკითხვა ლოგისტიკის, დაზღვევის, კანონმდებლობის შესახებ. მათ აინტერესებთ კანონი ინვესტიციების თაობაზე. ბულგარეთს შეუძლია გახდეს თავისებური „ფანჯარა ევროპაში“ აფხაზი მეწარმეებისათვის, – განაცხადა აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელმძღვანელმა.

მისი თქმით, მხარეებმა მოილაპარაკეს, რომ ხელს შეუწყობენ ორმხრივ ეკონომიკურ ურთიერთობებს.

ერთი შეხედვით, ასეთი შეხვედრები სარისკო არ არის, თუმცა საქმე უფრო რთულადაა. აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ აღიარებას სხვადასხვა ქვეყნის მხრიდან წინ უძღოდა აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ვიზიტები ამ ქვეყნებში.

თურქეთის მიმართ აფხაზეთში განსაკუთრებული მოლოდინი არსებობს. ამის მთავარი მიზეზი დიასპორაა. თურქეთში აფხაზეთის რესპუბლიკას თავისი წარმომადგენლობა აქვს. თურქი ბიზნესმენები საქმიანობენ საქართველოს ამ კონფლიქტურ რეგიონში.

კვირას თურქეთში გაიმართა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები. საპარლამენტო არჩევნების შედეგებმა ოკუპირებულ აფხაზეთში გააჩინა განცდა, რომ აფხაზეთს დიდ ეროვნულ კრებაში ლობისტური ჯგუფი „აფხაზეთის მეგობრები“ ეყოლება.

არჩეული დეპუტატებიდან 2 აფხაზია. ერთი მათგანი, ოზკოჩი, მოქმედი დეპუტატიცაა. იგი არაერთხელ გამოსულა აფხაზეთის მიმართ გამოცხადებული „ბლოკადის“ წინააღმდეგ. 12 ახალარჩეული დეპუტატი აფხაზების მონათესავე ადიღეელია. გარდა ამისა, 2 არჩეულ თურქ დეპუტატს ცოლი აფხაზი ჰყავს. ამის გათვალისწინებით, აფხაზები ამბობენ, რომ თურქეთის დიდ ეროვნულ კრებაში მეგობართა ჯგუფი ჰყავთ.

დიდი ალბათობით, ინვესტიციების ძიება და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა ოკუპირებულ აფხაზეთს მოქმედ ნორმებსა და ტრადიციებს შეაცვლევინებს. იმ პირებს, რომლებიც აფხაზეთის მოქალაქეები არ არიან, დღემდე ეკრძალებათ რესპუბლიკაში უძრავი ქონების შეძენა. ეს აბრკოლებს ინვესტორებს. შეზღუდვები ეხებათ რუსეთის წარმომადგენლებსაც.

დეფაქტო პრემიერი, **გენადი გაგულია,** ამ საკითხზე აცხადებს:

– ამ საკითხს სიფრთხილით უნდა მივუდგეთ. ვერ გავაკონტროლებთ ყველა მოქალაქეს, რომელსაც უძრავი ქონების ყიდვა უნდა. რუსეთის მოქალაქეს შეუძლია, გახსნას საწარმო, ჩადოს იქ თავისი კაპიტალი. ამ შემთხვევაში ის იურიდიული პირია. იურიდიულ პირს უძრავი ქონების ყიდვა შეუძლია. ჩვენ უცხოელების კი არა, ჩვენიანების უნდა გვეშინოდეს.

ამასთან, მთავრობის ხელმძღვანელი აღნიშნავს, რომ აფხაზეთისადმი ინტერესს ბევრი ქვეყანა იჩენს. ისინი საკუთარი მიზნების მისაღწევად არაფერს თაკილობენ.

გაგულია აღიარებს, რომ 27 მილიარდი რუბლი, რომელიც მოსკოვმა აფხაზეთს 2008 წლის შემდეგ გამოუყო, ერთი ჯგუფის კეთილდღეობას მოხმარდა და გაიფანტა სხვადასხვა მიმართულებით. ამის შედეგად გაჩანაგდა ეკონომიკა და გაქრა სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგები.

რატომ არ აინტერესებს ბიზნესს მიწისქვეშა პარკინგი თბილისში

თბილისის მერი კახი კალაძე დედაქალაქში პარკინგის პრობლემის გადაჭრას 8 თვეა უშედეგოდ ცდილობს. ეს საკითხი 4 წლის მანძილზე ვერც თბილისის ყოფილმა მერმა დავით ნარმანიამ გადაჭრა. ინტერესთა გამოხატვა თბილისის მერიამ პარკინგის მოწყობაზე რამდენჯერმე გამოაცხადა, თუმცა ბიზნესი ამ საკითხით არც ერთხელ არ დაინტერესდა. კომერსანტი სვამს კითხვას, რა არის ბიზნესის დაბალი აქტივობის მიზეზი?

კომპანია ივერია მოტორსის წარმომადგენელი გიორგი ქიშმარია ამბობს, რომ თბილისში საპარკინგე ადგილების მოწყობის საკითხზე ბიზნესის დაბალი აქტივობა გამოწვეულია მერიის მიერ გამოცხადებული ინტერესთა გამოხატვის პირობებით:

პირობები არ არის მიმზიდველი ბიზნესისთვის, რადგან ინვესტირება მთლიანად კომპანიამ უნდა აიღოს საკუთარ თავზე. მერია თანამონაწილეობას არ აპირებს. ეს პროექტი საკმაოდ ძვირადღირებულია. ჩვენი გათვლებით, ერთი მანქანისთვის საპარკინგე ადგილის მოწყობა დაახლოებით 6 ათასი დოლარი ღირს. ბიზნესი კი უკუგებაზე 7-8 წლის შემდეგ გადის. ყველა ქვეყანაში საპარკინგე ადგილების მოწყობისას თანამონაწილეობაში ქალაქის მთავრობა შემოდის, თანაც პირობებში აუცილებლად უნდა იყოს ბიზნესის ინტერესი, კერძოდ, მოეწყოს კომერციული ობიექტები. ეს ამ ინტერესთა გამოხატვაში არ იდო.

გიორგი ქიშმარიას ინფორმაციით, ინტერესთა გამოხატვა რამდენიმე ლოკაციაზე გამოცხადდა და სოლიდურ ინვესტიციებს საჭიროებს:

ვარკეთილის მეტროს მიმდებარედ – 840 კვადრატულ მეტრზე უნდა აშენდეს 70 ავტომანქანაზე გათვლილი პარკინგი, ინვესტიციის მოცულობა 3.750.000 ლარი.

ვაკე, გეგეშიძის ბაღის მიმდებარედ, 2.250 კვადრატულ მეტრზე უნდა მოეწყოს 175 ავტომანქანაზე გათვლილი პარკინგი, 9.500.000 ლარის ინვესტიცია.

რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია, სადაც 5.084 კვადრატულ მეტრ ფართზე უნდა გაკეთდეს 470 საპარკინგე ადგილი, 20 მილიონი ლარის ინვესტიცია.

ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის მიმდებარე ტერიტორიაა, სადაც 183 მანქანაზე გათვლილი მიწისქვეშა პარკინგი უნდა მოეწყოს 2.304 კვ.მ ფართზე და უნდა ჩაიდოს 9.750.000 ლარის ინვესტიცია.

ქიშმარია ქვეყანაში ავტოპარკინგის მოწყობის წარმატებულ მაგალითსაც ასახელებს: ბათუმში 2011 წელს განხორციელდა პარკინგის პროექტი, რომელიც მუნიციპალიტეტმა დაფინანსა და ფრანგულმა კომპანიამ ააშენა. შემდეგ ეს ლოკაცია გადაეცა სამართავად ბათუმის მერიას და ყოველწელს 3-5 მილიონი ლარის მოგებაზე გადის.

ადგილობრივ ბაზარზე ოპერირებს კომპანია რევერსი, რომელსაც ვერტიკალური პარკინგის პროექტი აქვს დაპატენტებული. კომპანიის ხელმძღვანელი მალხაზ ცისკარიშვილი კოლიდურ ინვესტიციებს ითხოვს.

მერსანტთან საუბარში ამბობს, რომ მერიის მიერ პარკირებაზე ოთხ ლოკაციაზე გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვით დაინტერესდა, თუმცა ამ მოცულობის ინვესტიციის განხორციელება არ შეუძლია:

ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ვინც ინტერესთა გამოხატვით დაინტერესდებოდა, ის მერე შეიძლება დაინტერესებულიყო ჩვენი პროექტით. შეკვეთა მოეცა ჩვენთვის. ჩვენი ფინანსური მდგომარეობა არ არის ისეთი, რომ ეს შევძლოთ. ჩვენ გვაქვს ქართული პატენტი ვერტიკალური პარკირების პროექტზე. იმედი გვაქვს, ინვესტორი გამოჩნდება და ამ იდეის პრაქტიკაში განხორციელებას შევძლებთ.

2017 წლის ნოემბერში კახა კალაძემ თბილისის მერის უფლებამოსილების აღსრულების დაწყებისთანავე განაცხადა, რომ ქალაქის ხელისუფლება დედაქალაქში პარკირებასთან დაკავშირებული პრობლემის მთლიანად გადაწყვეტას გეგმავს.

– ეს ნიშნავს იმას, რომ ბიზნესის აქტივობა ამ მიმართულებით არის ძალიან დაბალი, რაც სამწუხაროა. მიწისქვეშა პარკინგი ერთ-ერთი პროექტია, რომლისთვისაც გამოყოფილ ტერიტორიას ჩვენ დაინტერესებულ კომპანიას 1 ლარად გადავცემთ. პრინციპულად მნიშვნელოვანი პროექტია და იმედია, კერძო სექტორი აღნიშნულით დაინტერესდება. პარკინგისთვის არის ჯამში 3 ლოკაცია გამოყოფილი. გასაგებია, რომ განვითარებულ ქვეყნებში კონკრეტულად ეს ბიზნესი არ არის მომგებიანი და მისი სუბსიდირება ხშირად ხდება სწორედ მუნიციპალიტეტიდან, რაც ჩვენს შემთხვევაშიც მოხდება, მაგრამ გვსურს ამ ყველაფერში ჩავრთოთ ბიზნესიც. ეს არის მნიშვნელოვანი პროექტი დედაქალაქისთვის, – განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერიამ ინტერესის გამოხატვა თბილისში პარკინგის მოწყობაზე ოთხ ლოკაციაზე 2018 წლის 25 აპრილს გამოაცხადა. ინტერესის გამოხატვის ვადა 22 ივნისს ამოიწურა.

კალაძემდე თბილისში პარკირების პრობლემის გადაჭრა დავით ნარმანიამაც სცადა. მისი მერობის დროს თბილისის მერიამ ქალაქში 10 ადგილი შეარჩია, სადაც მრავალდონიანი ავტოსადგომების მშენებლობა იგეგმებოდა. ადგილები შეირჩა კვლევის საფუძველზე, რომელიც ჩაატარა საერთაშორისო კონსალტინგურმა კომპანიამ PWC (PricewaterhouseCoopers). კვლევის ფარგლებში კომპანიამ წელიწადნახევრის განმავლობაში შეისწავლა ბაზარი და განსაზღვრა ტექნიკური პარამეტრები. თუმცა ამ პროექტების განსახორციელებლად ბიზნეს-ოპერატორი ვერც მაშინ ვერ შეირჩა.

მრავალდონიანი ავტოსადგომების აშენება ამ დრომდე იგეგმება რკინიგზის სადგურის, მეტრო „მარჯანიშვილის“, ფილარმონიის, პუშკინის სკვერის მიმდებარე ტერიტორიებზე, მეტრო „ისანთან“, „დინამოს სტადიონთან“, ქალაქ თბილისის მერიასთან, გულუას მოედანთან, მეტრო „ვარკეთილთან“ და გეგეშიძის ბაღთან.

კომერსანტი

საქართველოში გზების ნაწილი ფასიანი გახდება

საქართველოში გზების ნაწილი ფასიანი გახდება. საკითხს საავტომობილო დეპარტამენტი უკვე განიხილავს. უწყების ინფორმაციით, კონკრეტულ ფასსა და თარიღზე საუბარი ამ ეტაპზე ნაადრევია, თუმცა ეს პროცესი ავტობანის დასრულებას, შესაძლოა, არ დაელოდოს და ცალკეულ მონაკვეთებზე ეტაპობრივად დაწესდეს გადასახადი.

ვისთვის იქნება გზა ფასიანი, მხოლოდ ტრანზიტული სატვირთო ავტომობილებისთვის თუ ადგილობრივი ტრანსპორტისთვისაც, მსგავს დეტალებზე საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელი არ საუბრობს, როგორც „ფორტუნასთან“ საუბარში ირაკლი ქარსელაძე ამბობს, ამ და მსგავსი ტიპის დეტალებზე ჯერ კონკრეტული გადაწყვეტილება მიღებული არ არის. მისივე თქმით, გზებზე გადასახადის დაწესებასთან დაკავშირებით, შიდაუწყებრივი სამუშაო შეხვედრა უკვე გაიმართა. დეპარტამენტში მსოფლიო ბანკის და ევროპის რეკონსტრუქციის ბანკის ორი კვლევა არსებობს, სადაც განსხვავებული მოსაზრებებია ჩამოყალიბებული, არაერთგვაროვანია ევროპის გამოცდილებაც ამ მიმართულებით, სამუშაო პროცესში დონორებთან და ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად, ყველა ამ დეტალის განხილვა მოხდება.

– გზების მოვლა-შენახვის გადასახადის პრაქტიკა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია, მაგრამ ევროპაშიც კი, გზების გაფასიანებასთან დაკავშირებით, სხვადასხვაგვარი გამოცდილება არსებობს. გადაწყვეტილების მიღებამდე, ყველა დეტალის გათვალისწინება უნდა მოხდეს: თანმდევი ფაქტორების, საქართველოს რეალობის, უცხოური გამოცდილების, საინტერესო და გასათვალისწინებელია IBRD-ის კვლევაც, ისეთ დეტალებზე, როგორიცაა ფასი, რა ტიპის ავტომობილებზე დაწესდება გადასახადი და რომელი მონაკვეთები გახდება ფასიანი, გადაწყვეტილება მიღებული არ არის, – განმარტავს ირაკლი ქარსელაძე.

გზებზე დაწესებული გადასახადი უკვე არსებული ავტობანის მოვლა-შენახვას და ახალი საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებას მოხმარდება.

ახალი აეროპორტის, ახალი პორტის მშენებლობის და მუდმივად მზარდი ტურისტული ნაკადის ფონზე, გზებზე მოსაკრებლის დაწესებას ეთანხმება „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“. ორგანიზაციის ხელმძღვანელი და სატრანსპორტო სფეროს ექსპერტი გელა კვაშილავა ქვეყნის სატრანზიტო ჰაბად ქცევის შემთხვევაში, საგზაო გადასახადის აუცილებლობაზე საუბრობს.

– გზის გარკვეული მონაკვეთები, რომელსაც განსაკუთრებით ხშირად იყენებენ საერთაშორისო ტრანზიტული მანქანები და დიდი ზომის გადამზიდავი ტრაილერები, იცვითება, ზიანდება და მის მოვლა-შეკეთებაში მილიონობით თანხა იხარჯება. გაფასიანების შემთხვევაში, მოსაკრებლიდან შემოსული თანხები საგზაო ფონდში აკუმულირდება, რომელიც შემდეგ ამ მიმართულებით დაიხარჯება, მოხმარდება გზების რეაბილიტაციას, უსაფრთხოებას, განვითარებას და ამაში სახელმწიფოს დამატებითი რესურსის დახარჯვა ან დონორებისგან სესხის მოზიდვა აღარ დასჭირდება, – ამბობს გელა კვაშილავა „ფორტუნასთან“.

გზებზე მოსაკრებლის დაწესება ევროპის ქვეყნებში მიღებული პრაქტიკაა, ქვეყნების ნაწილში, მაგ. იტალიაში ავტობანზე გადასახადი არამარტო სატვირთო, შიდა მსუბუქ ავტომობილებზეც არის დაწესებული.

ევროპის ქვეყნების პრაქტიკა სხვადასხვაგვარია, თუმცა მსგავსი მოსაკრებელი ძირითადად კომერციულ სატვირთო გადამზიდავებზე ან სამგზავრო გადამყვანებზე წესდება. არსებობს პრაქტიკა, როცა გზის გარკვეული მონაკვეთი, შესაბამისი მოთხოვნებით ოპერირებისთვის კერძო კომპანიასაც გადაეცემა.

რამდენად პოპულარული ნაბიჯი იქნება გზაზე მოსაკრებლის დაწესება – საგზაო სფეროს სპეციალისტს ამაზე ცალსახა პასუხი აქვს – „იმ შემთხვევაში თუ ამოღებული თანხა ისევ გზის მოვლას, უსაფრთხოებას და განვითარებას მოხმარდება, გზა იქნება კომფორტული, გადახდილი თანხა პროტესტს აღარ გამოიწვევს“.

ფასიანი გზების პარალელურად, ქვეყანაში ალტერნატიული უფასო გზებიც იქნება, მომხმარებელი კომფორტიდან და საკუთარი მოთხოვნიდან გამომდინარე გააკეთებს არჩევანს.

ფორტუნა.გე

ეკონომიკის მინისტრის პოსტზე, სავარაუდოდ, გიორგი ქობულიას კანდიდატურა დასახელდება

ეკონომიკის მინისტრის პოსტზე გიორგი ქობულიას კანდიდატურა დასახელდება. იგი თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის და შემდგომ ამერიკული ემორის კურსდამთავრებულია. ქობულია 2001 წლიდან დღემდე მსოფლიოში უმსხვილესი საკონსულტაციო კომპანია „მაქკინზის" (McKinsey) გუნდის წევრია და დღეს უფროსი პარტნიორის რანგშია McKinsey-ის მოსკოვის ოფისში, სადაც საერთაშორისო მასშტაბით სხვადასხვა კომპანიას უწევს კონსულტირებას: ნავთობპროდუქტების, ბუნებრივი აირის, მეტალურგიული სექტორის და ასევე წიაღისეულის მომპოვებელ-გადამამუშავებელ კომპანიებს, რაც მოიცავს მათ ორგანიზაციულ ტრანსფორმაციას, სტრატეგიის შემუშავებას, შესყიდვების მწყობრი სისტემის დანერგვას და მრავალ სხვა მიმართულებას.

ვიდრე McKinsey-ის შეუერთდებოდა, ქობულია საქართველოს კარდიოლოგიის ინსტიტუტის კარდიოლოგი იყო. იგი ასევე უმსხვილესი ამერიკული ფარმაცევტული კომპანია Merck, Sharp & Dohme-ის მეცნიერ-თანამშრომელიც იყო.

BM.GE

ირაკლი ქადაგიშვილი: „კახეთში ტურიზმის სრულად განვითარებას კიდევ რამდენიმე წელი დასჭირდება"

კახეთის გუბერნატორის ირაკლი ქადაგიშვილის განცხადებით, კახეთში ტურიზმის სრულად განვითარებას კიდევ რამდენიმე წელი დასჭირდება.

– რეგიონში კვლავ დგას გზების პრობლემა. ასევე პრობლემაა მოსახლეობის სრულად წყალმომარაგების საკითხი, რაც ეტაპობრივად გადაწყდება. ეს ორი მიმართულება ჩემთვის პრიორიტეტულია, – აცხადება კახეთის გუბერნატორი.

კახეთის რეგიონი მიმდინარე წელს სეზონზე ტურისტებს 159 სასტუმროთი და სახლი-სასტუმროთი შეხვდება, რაც ჯამში 1.625 საწოლს უდრის.



როგორც კახეთის გუბერნატორმა „კომერსანტს" განუცხადა, რეგიონში 2018 წელს გაიხსნება სასტუმროები – რედისონი წინანდალი, ჰოლიდეი ინი თელავი, 2019 წელს კახეთს შეემატება სასტუმროები: გოლდენ ტიულიფი, ვილა გოდოლი.

ამასთან შენდება ახალი ტურისტული ობიექტები. მათ შორის ისეთი ცნობილი ბრენდების სასტუმროები, როგორიცაა – „რედისონი" და „ჰოლიდეი ინი", – რაც ექსპლოატაციაში წელს შევა.

მიმდინარეობს „ლოპოტა რეზორტის" საერთო ინფრასტრუქტურის განვითარებაც. სასტუმრო მიმდინარე წელს საწოლების რაოდენობას გააორმაგებს.

ახალი სასტუმროების გახსნის შედეგად ჯამში კახეთში საწოლების რაოდენობას კიდევ 640 საწოლი დაემატება, რაც გაზრდილი ტურისტული ნაკადისთვის აუცილებლობას წარმოადგენს.

კომერსანტი

„ქართუს" რეზერვი ამოიწურა და ნურც ის გაგიკვირდებათ, თუ ამ ბანკის მზარეულს ვიხილავთ მინისტრთა კაბინეტში"

ამოიწურა „ქართუს" რეზერვი და ნურც ის გაგიკვირდებათ, თუ „ქართუს" მზარეულს ვიხილავთ მინისტრთა კაბინეტში, – ამის შესახებ ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარემ, რომან გოცირიძემ, მინისტრთა ახალი კაბინეტის ფორმირების კომენტირებისას განაცხადა. მისი თქმით, კარგი იქნება, თუ მართლა რომელიმე პროფესიონალს მოიწვევენ საზღვარგარეთიდან, თუმცა თვლის, რომ „ღირსების და პროფესიული ნიშნების მქონე ადამიანი ამ მინისტრთა კაბინეტში მუშაობას არ დათანხმდება".

– თუ ჩვენ გადავხედავთ „ქართული ოცნების" მინისტრების შემადგენლობას, ამ ექვსი წლის განმავლობაში, შეიძლება ვთქვათ, რომ ესენი არიან შემთხვევით მოხვედრილი ადამიანები, რომელთაც არავინ იცნობდა და ვერც ვერავინ გაიცნობდა, ისინი რომ მუშაობდნენ „ქართუ ბანკში" და „ქართუს" სისტემაში. ამოიწურა „ქართუს" რეზერვი და ნურც ის გაგიკვირდებათ, თუ „ქართუს" მზარეულს ვიხილავთ მინისტრთა კაბინეტში. ახლა უკვე უცხოეთში ეძებენ კადრებს. უცხოეთი, ბუნებრივია, არ არის „ქართუს" გავლენის სფეროში და კარგი იქნება თუ მართლა პროფესიონალს მოიწვევენ საზღვარგარეთიდან. მაგრამ მე ეჭვი მეპარება, რომ ღირსების და პროფესიული ნიშნის მქონე ადამიანმა ამ მინისტრთა კაბინეტში გადაწყვიტოს მუშაობა, – განაცხადა რომან გოცირიძემ.

იპნ

მოქალაქეებს თვითნებურად მოწყობილი კონდიციონერისა და გამათბობლების მოხსნა მოუწევთ

მოქალაქეებს შენობების ფასადებზე თვითნებურად მოწყობილი კონდიციონერისა და გამათბობლების დემონტაჟი მოუწევთ. ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

– სამწუხარო და შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ ჩვენი ქალაქის რეაბილიტერებულ ადგილებში გახშირდა იერსახის, ფასადების დაზიანება. ეს ხდება კონდიციონერებით, გამათბობლებით და სხვა საყოფაცხოვრებო საშუალებებით. მაგალითისთვის, გვაქვს ახალი აღმაშენებლის ტერიტორია, რომლის რეაბილიტაციაზეც 30 მლნ ლარი დაიხარჯა და ასეთი ფაქტები არის უამრავი, – აღნიშნა კალაძემ.



მანვე დედაქალაქის მერიის ზედამხედველობის სამსახურს დაავალა, რომ თითოეული მსგავსი ფაქტი დააფიქსიროს და აღრიცხოს.

– მესაკუთრეებს მივცეთ გონივრული ვადა, რომ თვითნებურად მოწყობილი ინფრასტრუქტურის დემონტაჟი განახორციელონ, დაზიანებებს კი ჩვენი ხარჯებით აღვადგენთ და მოვაწესრიგებთ, – განაცხადა კალაძემ.

იპნ

ფინანსთა მინისტროობის ერთ-ერთ კანდიდატად ირაკლი მანაგაძე განიხილება

ფინანსთა მინისტრის პოსტზე ერთ-ერთ კანდიდატად მსოფლიო ბანკის კონსულტანტი და „ლიბერთი ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ირაკლი მანაგაძე განიხილება. არაოფიციალური ინფორმაციით, მანაგაძესთან კონსულტაციები მიმდინარეობს, თუმცა გადაწყვეტილება ჯერჯერობით მიღებული არ არის.

რაც შეეხება მის სამუშაო გამოცდილებას, მანაგაძე, 1998-2005 წლებში სებ-ის პრეზიდენტი იყო. მანამდე, 1991 წელს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ატაშეს თანამდებობაზე მუშაობდა; 1993 წელს საქმიანობა გააგრძელა საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო კომიტეტში მთავარ სპეციალისტად; 1993-1994 წლებში საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ეკონომიკის განყოფილების წამყვანი სახელმწიფო მრჩევლისა და სამდივნოს უფროსის თანამდებობას იკავებდა; 1994 წელს მუშაობდა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის საერთაშორისო-საფინანსო და ეკონომიკურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სამთავრობო კომისიის სამდივნოში – ჯერ სახელმწიფო მრჩევლად, შემდეგ კი წამყვან სახელმწიფო მრჩევლად.

მანაგაძეს აქვს უცხოეთში მუშაობის გამოცდილებაც. კერძოდ, 1994 წლიდან 1996 წლამდე ვაშინგტონში (აშშ) მსოფლიო ბანკის აღმასრულებელი დირექტორის თანაშემწის თანამდებობაზე, 1996-1998 წლებში კი – მსოფლიო ბანკის მეოთხე ევროპული დეპარტამენტის მუნიციპალური და სოციალური ინფრასტრუქტურის განყოფილების ინსტიტუციონალური სპეციალისტის პოზიციაზე მუშაობდა. გარდა ამისა, გარკვეული 2005 წლის ოქტომბრიდან 2015 წლის ნოემბრის ჩათვლით, ის იყო EBRD-ის საფინანსო ინსტიტუტების დეპარტამენტის უფროსის მრჩეველიც პოლიტიკის საკითხებში. 2017 წლის იანვრიდან დღემდე მსოფლიო ბანკში კონსულტანტად.

შეგახსენებთ, რომ ეს ირაკლი მანაგაძის საქართველოს მთავრობაში მოწვევის 1-ელი მცდელობა არ არის. მას ფინანსთა მინისტრის პოსტზე „ქართული ოცნება" ჯერ კიდევ 2012 წელსაც განიხილავდა. ირაკლი მანაგაძის სახელი გაჟღერდა 2015 წელსაც, მაშინაც ის ფინანსთა მინისტრის პოსტზე მოიაზრებოდა. იყო საუბარი მისი საგარეო უწყებაში დასაქმებასთან დაკავშირებითაც, თუმცა ყველა მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა.

BPN.GE

რომან კაკულია: „კრიტიკა რომ მინიმალური იყოს, აუცილებელია, დავინახოთ ცვლილებების ადეკვატურობა"

– მინდა რჩევა მივცე პრემიერ-მინისტრს, მინდა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭოს ზოგ შემთხვევაში თაროზე შემოდებულ დოკუმენტებს, რომელსაც მთავრობის სტრუქტურების დებულება ჰქვია, – ამის შესახებ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ რომან კაკულიამ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა.

მისი თქმით, სამინისტროების გაერთიანების შემდეგ უნდა დაიწეროს დებულებები, რომლებშიც მიზნები ადეკვატურად იქნება ასახული.

– მხარდაჭერა მინდა გამოვუცხადო პრემიერ-მინისტრის მიერ წარმოდგენილ მთავრობის ახალ სტრუქტურას, რომლის მიზანიც არსებული რეალობის შეცვლაა. როდესაც არსებობს ასეთი სურვილი, ის გარკვეულ შინაგან ენერგიას და მხარში დგომას მოითხოვს. რა თქმა უნდა, მხარდაჭერა არ გულისხმობს კრიტიკისგან თავის შეკავებას, მაგრამ, ეს კრიტიკა რომ მინიმალური იყოს, აუცილებელია, დავინახოთ ამ ცვლილებების ადეკვატურობა. ამას ელის საზოგადოებაც.

ადეკვატურობა ნიშნავს საზოგადოებაში არსებული პრობლემების რეალურ აღქმას და შესაბამის რეაგირებას. ერთი რჩევა მინდა მივცე პრემიერ-მინისტრს რეორგანიზაციის პროცესში გასათვალისწინებლად. ბევრ სტრუქტურაში მიმუშავია და კარგი იქნება, თუ განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიანიჭებს ზოგ შემთხვევაში თაროზე შემოდებულ დოკუმენტებს, რომელსაც მთავრობის სტრუქტურის დებულება ჰქვია. ბევრი თანამშრომელი ვიცი სამინისტროს სტრუქტურებში, რომლებსაც წაკითხულიც კი არ აქვთ უწყების დებულება.

კარგი შანსი გვაქვს, ძალიან კვალიფიციურად მოვამზადოთ გაერთიანებული სამინისტროების დებულებები, სადაც მიზნების ადეკვატურობა იქნება გამოკვეთილი, – განაცხადა რომან კაკულიამ.

კომერსანტი

მთავრობა მეფრინველეობის სექტორს საგადასახადო შეღავათებზე ისევ უარს ეუბნება

ახალი პრემიერ-მინისტრის, მამუკა ბახტაძის ინიციატივით, საგადასახადო კოდექსში ცვლილებები დაანონსდა, თუმცა ეს მეფრინველეობის დარგს ისევ არ ეხება. მეფრინველეობის განვითარების ასოციაციის თავმჯდომარე ზურაბ უჩუმბეგაშვილი „კომერსანტთან" საუბრისას აცხადებს, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში მეფრინველეობის დარგში არსებული პრობლემები საგანგაშოდ რთულია. მიუხედავად ამისა, შექმნილი ვითარებით არც აღმასრულებელი და არც საკანონმდებლო ხელისუფლება არ ინტერესდება.

უჩუმბეგაშვილის ინფორმაციით, სწორედ ასეთი დამოკიდებულების და მიდგომის გამო, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ქვეყანაში ძალიან ბევრი წარმოება დაიხურა. მაგალითად, ალგეთის მეფრინველეობის ფაბრიკა, ნოსტეს მეფრინველეობის ფაბრიკა, საჩხერის მეფრინველეობის და მუხრანის მეფრინველეობის ფაბრიკები კვერცხს აღარ აწარმოებენ.

გარდა ამისა, დაახლოებით 7-8 წლის განმავლობაში, ფაქტობრივად კვერცხის და ხორცის წარმოების მოცულობა არ გაზრდილა.

როგორც უჩუმბეგაშვილი აცხადებს, კვერცხის წარმოების ვერ განვითარებას რამდენიმე მიზეზი აქვს. მათ შორისაა, დღგ-სგან ვერ გათავისუფლება და საზღვრის დაუცველობის პრობლემა. მისი თქმით, ეს კანონი მიღებულია, თუმცა, არ სრულდება.

– რეალურად ქვეყანაში არ უნდა შემოდიოდეს ის პროდუქცია, რომელიც ხარისხითაც ნაკლებია და დემპინგური ფასითაა წარმოდგენილი. კვერცხის მიმართულებით არ არის საჭირო იმპორტი, რადგან ქვეყანა საკუთარ მოთხოვნას 100 პროცენტით იკმაყოფილებს, – აცხადებს უჩუმბეგაშვილი.

როგორც მეფრინველეობის განვითარების ასოციაციის თავმჯდომარე აცხადებს, სახელმწიფო ბიუჯეტში კვერცხის წარმოებიდან 30 მილიონი ლარი შედის და იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ დარგში საგადასახადო შეღავათების არ გავრცელების მიზეზიც სწორედ ეს შეიძლება იყოს.

– თუ ვიღაცას ეკონომიკა ესმის, შეუძლია დათვალოს, თუ დარგი დღგ-ს გადასახადის 18 პროცენტიანი განაკვეთისგან გათავისუფლდება და ფასი შენარჩუნდება, მაშინ ფასთა შორის სხვაობით 15 პროცენტი ისევ ბიუჯეტში შევა, დასაქმდება ხალხი, ამას საშემოსავლო გადასახადიც დაემატება, განვითარდება თანგამყოლი დარგები, ასე რომ, საშუალო ხანგრძლივობის პერსპექტივაში ეს 30 მილიონი ლარი სრულად კომპენსირდება, – აცხადებს უჩუმბეგაშვილი.

როგორც ცნობილია, პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის ეკონომიკური პროგრამის ერთ-ერთი მთავარი ნაწილი რძისა და ფარმაცევტული ინდუსტრირების დამატებითი ღირებულების გადასახადისგან გათავისუფლებაა. ბახტაძის თქმით, ეს ქვეყანაში ამ ინდუსტრიის განვითარებას ხელს შეუწყობს. ბახტაძე ამბობს, რომ ეს ნაბიჯი ფარმაცევტულ ინდუსტრიას იაფ იმპორტთან კონკურენციას გაუმარტივებს.

მცირე და საშუალო ბიზნესასოციაციის ხელმძღვანელის, მიხეილ ჭელიძის თქმით კი, ის, რის გამოც მთავრობა მწარმოებლებს დღგს-გან გათავისუფლებაზე უარს ეუბნება, ამ სექტორიდან საკმაოდ სოლიდურ საბიუჯეტო შემოსავლებს უკავშირდება.

კომერსანტი

ქურდობა გორში — წაღებულია ძვირფასი სამკაულები

გორში, კომბინატის დასახლებაში, ბაქოს ქუჩაზე, ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლი გაქურდეს.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, წინასწარი ინფორმაციით, წაღებულია ძვირფასი სამკაულები.

როგორც შსს-ში აცხადებენ, მომხდარზე გამოძიება 177 მუხლის მესამე ნაწილით დაიწყო. ადგილზე ამ დრომდე მუშაობენ სამართალდამცველები.

მკვლელობა სოფელ ვაკეში — მამაკაცი სანადირო თოფით საკუთარ ფერმაში მოკლეს

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ვაკეში 52 წლის მამაკაცი საკუთარ ფერმაში სანადირო თოფით მოკლეს. მოკლული მამაკაცი ყოფილი პოლიციელია. გავრცელებული ინფორმაციით, ვაჟა თორაძის მკვლელობაში ბრალდებული ამავე ფერმაში დასაქმებული პირია, ის სამართალდამცავებმა ცოტა ხნის წინ დააკავეს.

ადგილობრივებისთვის მკვლელობის მიზეზი და მოტივი უცნობია. თუმცა ისინი ადასტურებენ, რომ ვაჟა თორაძე საკუთარ ეზოში მოკლეს.

– ამისი ფერმაა და ის კაცი ჰყავდა მოყვანილი 5 წელია. ეზოში მოკლა, თოფით. – აცხადებს თორაძის ნათესავი.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

რა უთხრა „პიკასოს“ მკვლელობის მცდელობისთვის დაკავებულმა ადვოკატს

„ქუჩის ბიჭების“ წევრის ირაკლი ნოზაძის დაჭრაში ბრალდებული თამთა ჯანჯღავა ამბობს, რომ განზრახ მკვლელობის სურვილი არ ჰქონია.

– ზუსტად ვიცი, რომ არანაირი მოკვლის სურვილი და განზრახვა არ ჰქონდა. დეტალებზე ჯერ ვერ ვისაუბრებთ. იმიტომ, რომ საქმის მასალებს არ ვიცნობ. თქვა, რომ მე მის მოკვლას არ ვაპირებდი, მაგრამ დანარჩენ დეტალებზე არ გვისაუბრია... ფაქტია, რომ რაღაც კამათი მოხდა მათ შორის. მაგრამ საფუძველი რა იყო ამ კამათის, ამაზე ჯერ საუბარი ცოტა ადრეა, – განაცხადა არჩილ შაბაშვილმა.

დაკავებულებს ბრალს სავარაუდოდ წაუყენებენ.

პედაგოგებისა და კლასელების შესაძლო ძალადობა არასრულწლოვანზე — შსს-მ გამოძიება დაიწყო

სოფელ ზემო ეწრის მე-8 კლასელი გოგონას თქმით, პედაგოგები და კლასელები მასზე ძალადობდნენ.

არასრულწლოვანი ჰყვება, რომ თანატოლები პედაგოგების თვალწინ წიხლებს ურტყამდნენ და ქვებს ესროდნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის, 126 -ე მუხლით (პირველი პრიმა), რაც არასრულწლოვნის მიმართ ძალადობას გულისხმობს.

გერმანიაში საქართველოს 2 მოქალაქე დააკავეს

გერმანული მედიის ცნობით, ბავარიაში 25 და 34 წლის საქართველოს მოქალაქეები სუპერმარკეტების ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

მათივე ცნობით, გერმანელმა სამართალდამცავებმა დაკავებულების ავტომობილში რამდენიმე ათასი ევროს ღირებულების ნაქურდალი ნივთები იპოვეს.

შემზარავი ტრაგედიის გაგრძელება — და-ძმის სამძიმრიდან მიმავალი ახლობლები ავტოკატასტროფისას დაიღუპნენ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გომში და-ძმის სამძიმრიდან უკან, თბილისისკენ მიმავალი ორი ადამიანი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაიღუპა.

თემური და ლალი მახარაძეები გასულ შაბათს ადრე დილით, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაიღუპნენ. ისინი ოზურგეთში, სოფელ ნატანებში ბებიის გასვენებაში მოდიოდნენ, რა დროსაც ზესტაფონში ავარია შეემთხვათ.

ავტომანქანაში იმყოფებოდნენ გარდაცვლილი და-ძმის შვილები და მეუღლეები, რომლებიც სხვადასხვა დაზიანებებით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

პროკურატურამ მოძალადის ნაცვლად ბრალი ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალს წაუყენა

საიას ინფორმაციით, პროკურატურამ ბრალი წაუყენა ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალს, რომელმაც პოლიციას ყოფილი ქმრის მიერ განხორციელებულ ძალადობისაგან დაცვის მიზნით მიმართა. კერძოდ, 2018 წლის თებერვალში თამარ ბეკარაშვილმა მიმართა პოლიციას და აცნობა, რომ ყოფილმა ქმარმა მასზე და მის დედაზე ფიზიკურად იძალადა. გამოძიების საწყის ეტაპზე მოხდა თამარ ბეკარაშვილის ყოფილი ქმრის დაკავება და მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო. 2018 წლის ივნისში, პროკურატურამ მოულოდნელად ძალადობაში მხილებული პირი დაზარალებულად ცნო და მსხვერპლს წაუყენა ბრალი ყოფილ ქმარზე ძალადობის და მისი ცრუ დასმენის საფუძვლით.

აღსანიშნავია, რომ პროკურატურა მსხვერპლი ქალისთვის ბრალის წარდგენისას დაეყრდნო მიკერძოებულ მოწმეებს და არ გაითვალისწინა სხვა მტკიცებულებები, რომლითაც დგინდებოდა, რომ თამარ ბეკარაშვილი არის ძალადობის მსხვერპლი, მათ შორის, არ გაითვალისწინა თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებები, რომლებითაც ამავე ფაქტზე თამარ ბეკარაშვილი ცნობილია ოჯახში ძალადობის მსხვერპლად.

საია მიიჩნევს, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალის მიმართ პროკურატურის მიერ ბრალის წარდგენა არის დაუსაბუთებელი, კანონთან შეუსაბამო და იწვევს მსხვერპლის ხელახალ ვიქტიმიზაციას. ნაცვლად იმისა, რომ სახელმწიფოს ძალადობის მსხვერპლი ქალისთვის შეეთავაზებინა დაცვის ეფექტური მექანიზმები, რეპრესიული ღონისძიებები გამოიყენა რეალური მსხვერპლის მიმართ. აღნიშნული მიდგომა არსებითად ლახავს არა მხოლოდ თამარ ბეკარაშვილის ინტერესებს, არამედ მსგავსი პრაქტიკა უარყოფითად აისახება ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაზე და მსხვერპლ ქალებს გაუღრმავებს დაუცველობის განცდას.

თამარ ბეკარაშვილის ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეზე საია იცავს.

გიორგი გახარია: „ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმეზე რამდენიმე ახალი დაკავებული გვყავს“

– ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმეზე რამდენიმე ახალი დაკავებული გვყავს და როგორც ჩანს, ეს დაკავებები გაგრძელდება, – ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ ხორავას ქუჩაზე მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით შექმნილი საპარლამენტო კომისიის სხდომებზე გამოვლენილი გარემოებების შესახებ ჟურნალისტების კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

გახარიას თქმით, შეფასებებს ის კომისიის საქმიანობის დასრულების შემდეგ გააკეთებს.

– ხორავას ქუჩაზე მომხდარ ტრაგედიასთან მიმართებაში შექმნილია საპარლამენტო კომისია. საპარლამენტო კომისიამ მუშაობა ახლახან დაიწყო და გრძელდება. მე იმის შემდეგ გავაკეთებ კომენტარს ხორავას ქუჩის მკვლელობასთან დაკავშირებით, როდესაც კომისიის წევრები მუშაობას დაასრულებენ. ამ ეტაპზე, არანაირი შედეგი არ დაუდია კომისიას, რადგან მისი მუშაობის ვადა არის სამი თვე და სულ რაღაც სამი დღეა მუშაობს. ეს თემა დავხუროთ ახლა. გამოყოფილია ცალკე საქმე, რომელიც 27 დეკემბერს გამოიყო. ამ საქმის ფარგლებში, სიტუაციის, მოვლენების განვითარების არც ერთ შემთხვევას, არც ერთ ვარიანტს არ გამოვრიცხავთ. როგორც იცით, ახალ, გამოყოფილი საქმის ფარგლებში, რამდენიმე ახალი დაკავებული გვყავს და როგორც ჩანს, ეს დაკავებები გაგრძელდება, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა კომერციული მოსყიდვის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა კომერციული მოსყიდვის ფაქტზე ერთი პირი დააკავა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, კომერციული მოსყიდვის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.

– გამოძიებით დადგინდა, რომ აჭარის რეგიონში, ქედის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებულმა ერთ-ერთი შპს-ს დირექტორმა, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით მეწარმეს, ხელშეკრულების გაფორმების გარეშე, კომპანიის ბალანსზე არსებული სამშენებლო ტექნიკით სარგებლობის სანაცვლოდ, უკანონოდ მოსთხოვა და გამოართვა 400 ლარი, – აცხადებენ სამსახურში.

მათივე ინფორმაციით, გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლის მე-4 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 6 წლამდე ვადით.

– ამ ეტაპზე, აღნიშნულ დანაშაულში შემჩნეული სხვა პირების დადგენა-მხილების მიზნით შესაბამისი ღონისძიებები ტარდება, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

400 ლარის გამო, ერთ-ერთი შპს-ის დირექტორი დააკავეს

კომერციული მოსყიდვის ფაქტზე საგამოძიებო სამსახურმა ერთი პირი დააკავა.

– საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, კომერციული მოსყიდვის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ აჭარის რეგიონში, ქედის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებულმა ერთ-ერთი შპს-ს დირექტორმა, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით მეწარმეს, ხელშეკრულების გაფორმების გარეშე, კომპანიის ბალანსზე არსებული სამშენებლო ტექნიკით სარგებლობის სანაცვლოდ, უკანონოდ მოსთხოვა და გამოართვა 400 ლარი.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლის მეოთხე ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 6 წლამდე ვადით.

ამ ეტაპზე, ტარდება შესაბამისი ღონისძიებები აღნიშნულ დანაშაულში შემჩნეული სხვა პირების დადგენა-მხილების მიზნით, – აღნიშნულია საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ნენე დალაქიშვილის მიმართ შესაძლო მუქარაზე გამოძიება დაიწყო

ნენე დალაქიშვილმა სოციალურ ქსელში მიღებული მუქარის შემცველი შეტყობინებების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა. ტვ პირველის პროდიუსერი პოლიციაში დღეს იყო დაბარებული. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნენე დალაქიშვილის მიმართ შესაძლო მუქარის საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე (მუქარის) მუხლით დაიწყო.

ნენე დალაქიშვილის თქმით, ფეისბუქში მის მიმართ შეურაცხმყოფელ და მუქარის შემცველი შეტყობინებების გავრცელება მას შემდეგ დაიწყეს, რაც მის საცხოვრებელ კორპუსთან საქართველოსა და უცხოეთის მოქალაქეებს შორის მომხდარი ჩხუბის გამო პატრული გამოიძახა და ინფორმაცია გაავრცელა.

დანია „ჩრდილოეთის ნაკად-2-ის“ წინააღმდეგ

დანიის პარლამენტში შეტანილია კანონპროექტი, რომელიც „ჩრდილოეთის ნაკად-2“-ის დაბლოკვას ან შეჩერებას ითვალისწინებს.

პრემიერმა რასმუსენმა თავის მხრივ განაცხადა, რომ „ჩრდილოეთის ნაკად-2“-ს საერთო ევროპული მნიშვნელობა გააჩნია და მხოლოდ დანია ვერ გადაწყვეტს, განხორციელდეს ის თუ არა.

– აუცილებელია, რომ ეს საკითხი საერთო ევროპულ დონეზე იქნას განხილული, – ამბობს რასმუსენი.

რუსეთის ხელისუფლება სენცოვის გათავისუფლებაზე უარს აცხადებს

უკრაინელი კინორეჟისორ ოლეგ სენცოვის საკითხი კვლავ მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ცენტრშია.

როგორც ცნობილია, ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმა იანგლანდმა პუტინს სენცოვის შეწყალების თხოვნით მიმართა. პუტინის პოზიცია მისმა თანაშემწე პესკოვმა გაახმოვანა.

– სამწუხაროდ, იანგლანდის თხოვნის საფუძველზე სენცოვის შეწყალება შეუძლებელია, – თქვა პესკოვმა.

პუტინის თანაშემწემ რუსული პროპაგანდის ძველი სტერეოტიპი გაიმეორა: სენცოვი ტერორიზმის ბრალდებითაა დაპატიმრებული და მისი შეწყალებაც ასე ჰაიჰარად არ შეიძლება.

მანაფორტის სასამართლო 25 ივლისს დაიწყება

ტრამპის საარჩევნო შტაბის ყოფილი ხელმძღვანელის პოლ მანაფორტის სასამართლო 25 ივლისს დაიწყება.

მანაფორტს როგორც რუსებთან კავშირში, ასევე ფინანსურ მაქინაციებში ედება ბრალი.

მანაფორტის ადვოკატები ამტკიცებდნენ, რომ მტკიცებულებები კანონის დარღვევით იქნა მოპოვებული და სპეცპროკურორმა მიულერმა თავის უფლებამოსილებას გადააჭარბა.

მოსამართლემ ეს უარყო.

– ყველა ბრალდება კანონიერია, – თქვა მან.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

პუტინმა ჩრდილოეთ კავკასიაში ახალი წარმომადგენელი დანიშნა

რუსეთის რეგიონებში საკადრო ცვლილებებია. ამ მხრივ გამონაკლისს არც ჩრდილოეთ კავკასია წარმოადგენს. ვლადიმერ პუტინის ბრძანებით, მისმა წარმომადგენელმა ჩრდილოეთ კავკასიაში ოლეგ ბელავენცევმა თანამდებობა დატოვა და მის ადგილს გენერალი მატოვნიკოვი დაიკავებს.

ალექსანდრე მატოვნიკოვი დაიბადა 1965 წელს სამხედროს ოჯახში. დაამთავრა სასაზღვრო ინსტიტუტი. სუკში მისი მოღვაწეობა 1984 წლიდან იწყება. მატოვნიკოვი ანტიტერორისტული ფორმირება „ალფას“ რიგებში ირიცხებოდა. მონაწილეობდა ჩეჩნეთის ომში, კერძოდ, მეთაურობდა საავადმყოფოს შტურმს ბუდიონოვსკში და ა.შ.

ექსპერტები თვლიან, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში პუტინის წარმომადგენლად მატოვნიკოვის დანიშვნა შემთხვევითი არაა. რეგიონში ურთულესი მდგომარეობაა. ტერაქტები არ წყდება. პუტინიც იმედოვნებს, რომ გენერალი მატოვნიკოვი, რომლის სპეციალობაც ტერორიზმთან ბრძოლაა, სიტუაციის გამოსწორებას შეძლებს.

შემაშფოთებელი ვითარებაა ჩეჩნეთშიც. რუსეთს აქ მნიშვნელოვან კომპრომისებზე წასვლა მოუხდა. ჩეჩნეთიც ჩამოყალიბდა, როგორც სახელმწიფო სახელმწიფოში, რომელიც რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში მხოლოდ ფორმალურადაა. კადიროვის ქვეშევრდომული განცხადებები მთავარს არ ცვლის: დღეს ჩეჩნეთი რუსეთის ერთიანი სამართლებრივი სივრციდან ამოვარდნილია.

– ჩეჩნეთი ისეთსავე მდგომარეობაშია, როგორც ცარიზმის დროს ხივის სახანო და ბუხარის საემიროები იყვნენ. კადიროვს პრეზიდენტი მხოლოდ ფორმალურად ჰქვია. სინამდვილეში ის უფრო ხანი ან ემირია, – თვლის ექსპერტი ვიტალი პორტნიკოვი.

ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გაგრძელდება. ამიტომაც დანიშნა პუტინმა გენე-

ტრამპმა ერდოღანს გამარჯვება მიულოცა

შედგა აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპისა და მისი თურქი კოლეგის ერდოღანის სატელეფონო საუბარი. ტრამპმა თურქეთის პრეზიდენტს არჩევნებში გამარჯვება მიულოცა და გამოთქვა იმედი, რომ აშშ-თურქეთის თანამშრომლობა უახლოეს ხანებში უფრო მჭიდრო გახდება.

ერდოღანმა აშშ-ის პრეზიდენტს მხარდაჭერისთვის მადლობა განუცხადა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ თურქეთი და აშშ სტრატეგიულ პარტნიორებს წარმოადგენენ და მათი თანამშრომლობა უფრო მჭიდრო უნდა გახდეს.

– აშშ-თურქეთის თანამშრომლობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში ენიჭება, – თქვა ერდოღანმა.

რუსეთი უკრაინაში რელიგიური შუღლის გაღვივებას ცდილობს

უკრაინის მოსახლეობის 87% კიევის საპატრიარქოს ავტოკეფალიის აღიარებას მიესალმება. ამ პოზიციაზე დგას როგორც მოსკოვის საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებული ეკლესიების ბევრი მღვდელი, ასევე მრევლის დიდი ნაწილიც.

– უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება უკვე სავსებით რეალურია, – განაცხადა კიევის საპატრიარქოს წარმომადგენელმა, არქიეპისკოპოსმა ზორიამ.

მოვლენების ამ სცენარით განვითარება რუსეთს ხელს არ აძლევს. უკრაინელი ჟურნალისტის დმიტრო ტიმჩუკის ცნობით, რუსეთის აგენტები ავრცელებენ ცრუ ინფორმაციას, რომ უკრაინელი რადიკალები მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფი ეკლესიების ძალით დაპატრონებას გეგმავენ.

– რუსეთის აგენტები მოსახლეობას მოუწოდებენ, შექმნან შეიარაღებული რაზმები, რათა ე.წ „კანონიკური ეკლესია“ დაიცვან, – თქვა ტიმჩუკმა.

კალეიდოსკოპი

იაპონელმა პრინცესამ შეყვარებულის გამო ტიტულზე უარი თქვა

იაპონიის პრინცესა აიაკო ტაკამადომ გამოაცხადა, რომ ცოლად გაჰყვება უბრალო ადამიანს და უარს იტყვის სამეფო სტატუსზე.

იაპონიის საიმპერატორო სასახლის სამმართველომ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ პრინც ნორიხიტო ტაკამადოს მესამე და ყველაზე პატარა ქალიშვილი ცოლად მიყვება 32 წლის კეემ მორიას, რომელიც სანაოსნო კომპანიაში მუშაობს.

შეყვარებულებმა ერთმანეთი დაახლოებით ერთი წლის წინ გაიცნეს. მათი ნიშნობა 12 აგვისტოსთვისაა დანიშნული, ხოლო ქორწილი 29 ოქტომბრისთვის. აღნიშნული ღონისძიება მეიძის ეკლესიაში გაიმართება. წყვილმა აღიარა, რომ ისინი ერთმანეთს საერთო მისწრაფებამ, საკუთარი წვლილი შეიტანონ გლობალურ კეთილდღეობაში, დააახლოვა. გარდა ამისა, ორივეს უყვარს თხილამურებით სრიალი, წიგნები და მოგზაურობა.

საიმპერატორი წესების თანახმად, გოგონა მაშინვე დაკარგავს სამეფო ტიტულს, როგორც კი საქორწინო ცერემონია გაიმართება. ამის მიუხედავად, ის დაახლოებით მილიონ დოლარს მიიღებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● დიდი გამოცდილების მქონე შპს მოგიგვარებთ ქვეწარმავლების, მღრღნელების, მწერების პრობლემას, ჩაგიტარებთ სადეზინფექციო სამუშაოებს. ტელ: 551-54-84-54; 599-74-04-51.

● შევიძენ ნახატ სურათებს, წიგნებს, ძველ ნივთებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● მკურნალი ნანა პაიჭაძე საგვარეულო მალამოთი ეფექტურად მკურნალობს: რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, კისრის, მუხლსახსრების ართროზს, დისკოზს, ნერვის ანთებას, ტერფისა და ქუსლების ტკივილს, ურთულეს დაავადებას ჰაიმორიტს. მის პაციენტთა შორის იყვნენ ცნობილი ადამიანები – აკადემიკოსი ანზორ შავგულიძე, მსახიობი ჯემალ ღაღანიძე, ტელეწამყვანი გიორგი გოგიჩაიშვილი და მრავალი სხვა. მის: თევდორე მღვდლის ქუჩა №48. ტელ: 593-00-08-26; 599-54-64-81.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

საქართველოს მარკოიშვილი დააკლდა, ავსტრიას პიოლტლი დაემატა

საქართველოს საკალათბურთო ნაკრები მოახლოებული მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩებისთვის ემზადება. ეროვნული გუნდი 29 ივნისსა და 2 ივლისს სერბეთსა და ავსტრიას დაუპირისპირდება.

მოსამზადებელ ეტაპზე ჩვენებმა სპარინგები ჩეხეთში გამართეს, შემდეგ ისევ თბილისში დაბრუნდნენ და შინაურ არენაზე ემზადებიან. გუნდს შეუერთდა თორნიკე შენგელია – ევროპული კალათბურთის სუპერვარსკვლავი თბილისში გუშინ ჩამოფრინდა და დილის ვარჯიშშიც მიიღო მონაწილეობა. თუმცა საქართველოს ნაკრებში უსიამოვნო სიახლეცაა: ეროვნულ ნაკრებს სერბეთთან და ავსტრიასთან ვერ დაეხმარება მანუჩარ მარკოიშვილი, რომელსაც ქრონიკულად ნატკენი ფეხი აწუხებს და ექიმებთან კონსულტაციის შემდეგ მისი თამაში გამორიცხა.

მზადებას განაგრძობს ავსტრიის ნაკრებიც, რომლებსაც იმედია აქვთ, რომ საქართველოში მოიგებენ და შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლებას მიიღებენ. მაიკ კოფინის შეგირდები 29 ივნისს გერმანიაში ეთამაშებიან, 2 ივლისს კი, საქართველოში სტუმრობა ელით. ამ დროისთვის, ავსტრიელებს საკვალიფიკაციო ჯგუფში ოთხივე მატჩი წაგებული აქვთ, თუმცა, შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსს ინარჩუნებენ და ცხადია, მის რეალობად ქცევისთვის მაქსიმუმს გაიღებენ.

ქართველ კალათბურთელთა მომავალი მეტოქე გადამწყვეტი შეხვედრებისთვის სანკტ პოლტენში ემზადება, კოფინის სიაში კი 15 კალათბურთელია: ტომას შრეინერი, ტომას კლეპეიში, ბენედიკტ დანეკი, ბენედიკტ გუტლი, დანიელ ფრიდრიხი, ენის მურატი, კარლოს ნოვას მატეო, ბრის დუვიე, სებასტიან კოხი, მარვინ ოგუნსიპე, ფლორიან ტრმალი, იოზო რადოში, იაკობ პიოლტლი, მაქს ჰოპფგარტნერი, მორიც ლანეგერი.

ცხადია, ავსტრიელთათვის უმთავრესი მათ რიგებში ჯეიკობ პიოლტლის გამოჩენაა. 22 წლის ცენტრი ნბა-ს კლუბ ტორონტო რეპტორსში ირიცხება და ეროვნული ნაკრების მაისურით მსოფლიო პირველობის შესარჩევ ციკლში პირველად ითამაშებს. გასულ რეგულარულ სეზონში პიოლტლის საშუალო მაჩვენებლები ასეთი იყო: 82 მატჩი, 18.6 წუთი, 6.9 ქულა, 4.8 მოხსნა, 1.2 დაფარება.

ჯეიკობ პიოლტლი:

– პირველი ვარჯიშებიდან შთაბეჭდილება კარგია, მიუხედავად იმისა, რომ გუნდში ბევრი ახალი თანაგუნდელი დამხვდა. სანაკრებო მატჩებისთვის მოსამზადებლად მხოლოდ რამდენიმე დღე გვაქვს და ეს დრო მაქსიმალურად სარგებლიანად უნდა გამოვიყენოთ.

მაიკ კოფინი:

– გუნდში ჩინებული განწყობაა და ეს ძალიან მახარებს. გადამწყვეტი მატჩები გველის, რომელთაც ყოველმხრივ მომზადებულნი უნდა შევხვდეთ. ჩემთვის ავსტრიის ნაკრებთან მუშაობა დიდი პატივია.

ფაბრეგასი: „მესიმ სწრაფად ჩამიარა და უცებ მინდორზე აღმოვჩნდი“

მიმდინარე მუნდიალზე ბევრი კრიტიკა იყო ლეო მესის მიმართ. არგენტინელი ფენომენის წყალობით, ხორხე სამპაოლის გუნდი მერვედფინალშია.

ლეო რომ უნიჭიერესი ფეხბურთელია და მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავი, ამას მისი ყოფილი თანაგუნდელი, სესკ ფაბრეგასიც ადასტურებს.

ლონდონის ჩელსისა და ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველმა რამდენიმე დღის წინ მესის სპეციალური ბლოგი მიუძღვნა:

– მახსენდება პატარა, მორცხვი ლეოს ბარსელონაში პირველად მოსვლა. გვითხრეს, რომ გრძელთმიანი ბიჭი არგენტინიდან გამოსაცდელად უნდა მოეყვანათ. ჩვენთან ჩატარებულ მეორე ვარჯიშზე უკვე მივხვდი, რამდენად კარგი იყო ლეო ერთი ერთზე თამაშისას. პატარაობისას, ბურთის ამრთმევის როლს შესანიშნავად ვირგებდი და ვერავინ მცდებოდა, რადგან საკმაოდ აგრესიულად ვთამაშობდი. ერთ დღესაც, მწვრთნელმა წყვილებად დაგვყო და მითხრა, რომ მესი უნდა შემეჩერებინა. ასეთი დავალება ცოტა გამიკვირდა, რადგან მხოლოდ 13 წლისები ვიყავით. ამასთან, ლეო ტანით ბევრად პატარა იყო. სწორედ მისი გარეგნობიდან გამომდინარე, ვფიქრობდი, არგენტინელი პრობლემას ვერ შემიქმნიდა. საკუთარ თავში სრულიად დარწმუნებული ვიყავი, თუმცა, მესიმ სწრაფად ჩამიარა და უცებ მინდორზე აღმოვჩნდი. ეს მომენტი არასდროს დამავიწყდება.

გავიდა რამდენიმე დღე და ლეო სამხრეთ ამერიკაში დააბრუნეს. 6-თვიანი პაუზის შემდეგ, ის ისევ ვიხილეთ, მაგრამ ძველი ლეოსგან განსხვავებით, ბევრად თავდაჯერებული და განვითარებული მოგვეჩვენა.

14 წლის ასაკში მესიმ ისეთი რამ გააკეთა, რასაც ჯერაც ვერ ვიგიწყებ. ახალგაზრდული ჩემპიონატის ორ უკანასკნელ, გადამწყვეტ მატჩს ესპანიოლის წინააღმდეგ ვატარებდით. ჩვენს გუნდს ტიტო ვილანოვა წვრთნიდა. პირველი მატჩისას, მეორე ნახევრის ბოლოს, ლეომ თვალის ბუდე დაიზიანა. საკმაოდ რთული ტრავმა იყო, მოედნის დატოვება მოუწია. შეხვედრას 2:0-ით ვიგებდით, მაგრამ მესის ფინალის გამოტოვება მოუწევდა, ეს კი ყველას გვაწუხებდა.

ჩვენდა საბედნიეროდ, კარლეს პუიოლს იგივე ტრავმა ცოტა ხნის წინ ჰქონდა მოშუშებული. მისი სახის ნიღაბი კი ტიტომ ლეოსთვის ითხოვა. არგენტინელმა მატჩის წინა დღეს უპრობლემოდ ივარჯიშა და მწვრთნელმა თამაშის უფლება მისცა. იმ დღეს ტიტომ სათამაშო ტაქტიკა შეცვალა და ლეო „ცრუ ცხრიანად“ დააყენა, მე კი მის უკან, ათი ნომრის პოზიციაზე ვიდექი. სტარტიდან 12 წუთის შემდეგ, 3:0-ს ვიგებდით, მესიმ 2 გოლი გაიტანა და 1 საგოლე პასი მიითვალა. მე-13 წუთზე ჩვენმა დამრიგებელმა ის მოედნიდან გაიყვანა, ჩვენ კი ჩემპიონატი მოვიგეთ. წარმოიდგინეთ, ლეომ 12 წუთში ფინალი მოიგო.

პირადად ჩემთვის ლეო ყოველთვის საუკეთესო ფეხბურთელი იქნება, მნიშვნელობა არ აქვს, მოიგებს თუ არა მსოფლიო ჩემპიონატს. ხალხმა, ვინც პირადად იცნობს ან მასთან ერთად უთამაშია, იცის, რომ ის სრულყოფილი ფეხბურთელია.

მარადონა ცნობილი ფეხბურთელი იყო, თუმცა, ის უმაღლესი კლასის ფეხბურთს 12-13 წლის განმავლობაში არ თამაშობდა. კრიშტიანუ რონალდუ ფანტასტიკური მოთამაშეა, მას ყველა აღმერთებს, თუმცა, როცა საუბარი გვაქვს საუკეთესო გოლეადორზე, საუკეთესო მეპასეზე, საუკეთესო დრიბლიორზე, ეჭვგარეშეა, რომ აქ ლეო მესი უკონკურენტოა.

მიუხედავად იმისა, რომ ბარსელონაში სხვა დიდებული ფეხბურთელები თამაშობენ, გაუაზრებლად, ყოველთვის მესისკენ გაიხედავ, რადგან იცი, ის საუკეთესო მოთამაშეა და ამ ხელსაყრელი შემთხვევის გამოყენებას ეცდები. ფიქრობ ლეოზე მაშინაც კი, როცა ის რამდენიმე ფეხბურთელითაა გარემოცული, ფიქრობ სამჯერ, ოთხჯერ და ბურთს მაინც ლეო მესის უგორებ. რამდენადაც ცუდი პასი არ უნდა იყოს, არგენტინელი მას ოსტატურად ამუშავებს. ლეო სხვებს საქმეს ყოველთვის უმარტივებს.

თავად ლეომაც იცის, რომ საუკეთესოა, მას ყველაფრის მოგება სურს. მხარდაჭერასთან ერთად, დიდ ზეწოლასაც გრძნობს, მაგრამ ბარსას ათიანისთვის ეს პრობლემა არ არის.

არგენტინისა და ეკვადორის მატჩს ვუყურე, სადაც მესიმ ჰეთ თრიქი გაიფორმა და ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიყვანა. სამწუხაროდ, საერთო შედეგს მხოლოდ ერთი ფეხბურთელი ვერ გააუმჯობესებს.

ამ დაძაბული ჩემპიონატის ფონზე, ლეო 31 წლის არის, რაც იმას ნიშნავს, რომ წლევანდელი ტურნირი მისთვის ბოლო არ არის. თუ ჩემი ქვეყანა, ესპანეთი, ვერ მოიგებს მსოფლიო ჩემპიონატს, ვისურვებ, გამარჯვებული არგენტინა გახდეს, რადგან მესის კარიერას მხოლოდ ეს აკლია.

გერმანია სენსაციურად გავარდა

სამხრეთ კორეა-გერმანია 2:0

ყაზანი. ყაზან არენა

1:0 კიმი (90), სონი (90)

სამხრეთ კორეა: ჩო, ლი, იუნი (ჰვანგი 56), ჰონგი, იანგი, კიმი, ლი ჯუ, კოო, ჰვანგი,სონი, მუნი (იუნი 69)

გერმანია: ნოიერი, კიმიხი, ზულე, ჰედირა (გომესი 58), ჰუმელსი, ექტორი (ბრანდტი 79), კროოსი, იოზილი, გორეცკა (მიულერი 63), როისი, ვერნერი

ჯგუფის ბოლო ტურის შეხვედრაში მსოფლიოს ჩემპიონატის სუპერსენსაცია დაფიქსირდა – წინა მუნდიალის გამარჯვებული და ტურნირის უმთავრესი ფავორიტი გერმანიის ნაკრები ჯგუფში ჩარჩა. იოაჰიმ ლიოვის შეგირდები სამხრეთ კორეის ეროვნულ გუნდთან 0:2 დამარცხდნენ.

შეხვედრა გერმანელთა უპირატესობით წარიმართა, თუმცა, კორეელები თავს საკმაოდ ორგანიზებულად იცავდნენ და წვრილ-წვრილი ჯარიმებით ახერხებდნენ ბუნდესნაკრებისთვის ტემპის დაგდებას. გერმანელთა უპირატესობის მიუხედავად, პირველ ნახევარში ყველაზე რეალური მომენტი კორეელებს ჰქონდათ. აზიელთა საჯარიმო დარტყმის შემდეგ, მანუელ ნოიერს ბურთი ხელიდან გაუვარდა, მაგრამ მისდა ბედად, ახლოს არც ერთი კორეელი ფეხბურთელი არ ყოფილა და სიტუაცია განიმუხტა.

მეორე ნახევარში გერმანელებმა დიდი უპირატესობა მოიპოვეს, თან პარალელურ შეხვედრაში შვედეთმა მექსიკა 3:0 გაანადგურა და იოჰიმ ლიოვის გუნდს მინიმალური სხვაობით გამარჯვებაც აძლევდა ხელს. გერმანელთაგან ყველაზე სახიფათო მომენტი ლეონ გორეცკას ჰქონდა, რომლის თავური დარტყმაც ჩო ხენ უმ საოცარ ნახტომში მოიგერია.

დარჩენილ დროში, გერმანელთა მცდელობების მიუხედავად, გოლის გატანა სამხრეთ კორეის ეროვნულმა გუნდმა მოახერხა: კუთხურის შემდეგ, ბურთი კიმ ენ გვონს მიუვიდა, რომელსაც ახლო მანძილიდან გატანა არ გასჭირვებია. ბოლო წუთებში გერმანია მთელი გუნდით ვა-ბანკზე წავიდა და კორეელებმა მეორეც გაიტანეს – გრძელი პასის შედეგად სონ ჰინ მინი ცარიელი კარის წინ აღმოჩნდა და კორეელთა კაპიტანს გატანა აღარ გასჭირვებია.

საბოლოოდ, 2:0 სამხრეთ კორეის ნაკრების სასარგებლოდ და რუსეთის მუნდიალი ნაადრევად დატოვა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ჩო ხენ უ

სამხრეთ კორეელთა მეკარე ჩო ხენ უ გამოვარჩიეთ, რომელიც მთელი მატჩის განმავლობაში ძალიან დამაჯერებლად მოქმედებდა და რამდენჯერმე თავისი გუნდი აშკარა გოლისგან იხსნა.

მექსიკა-შვედეთი 0:3

ეკატერინბურგი.ეკატერინბურგი არენა

0:1 აუგუსტინსონი (50), 0:2 გრანკვისტი (62პ), 0:3 ალვარესი (74სკ)

მექსიკა: ოჩოა, ალვარესი, სალსედო, მორენო, გალიარდო(ფაბიანი 65), ერერა, გუარდადო (კორონა 75), ლაიუნი (პერალტა 88), ველა, ლოსანო, ჩიჩარიტო

შვედეთი: ოლსენი, ლუსტიგი, ლინდელოფი, გრანკვისტი, აუგუსტინსონი, კლაესონი, ლარსონი, ეკდალი (ჰოლემარკი 79), ფორსბერგი, ტოივონენი, ბერგი (ტელინი 67)

ბურთს პირველ ტაიმში უფრო ხშირად მექსიკელები ფლობდნენ, თამაში კი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. გოლის გატანა ორივე გუნდს შეეძლო, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიჰყავდათ.

მეორე ტაიმის დასაწყისში შვედებმა გახსნეს ანგარიში – თავი აუგუსტინსონმა გამოიჩინა. ამის შემდეგ მექსიკა შეტევაზე გადავიდა და შვედებს სივრცეები გაეხსნა. შედეგად, შვედებმა ჯერ პენალტი გამოიმუშავეს და გრანკვისტმა ანგარიში გააორმაგა, ხოლო 74-ე წუთზე მექსიკელთა კარში ბურთი ალვარესის რიკოშეტის შედეგად შევარდა – 0:3.

თუმცა, მექსიკელებს წაგება სულაც არ სწყენიათ და მატჩის შემდეგ გაიხარეს, რადგან უშუალო კონკურენტმა გერმანიამ კორეასთან წააგო.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ანდრეას გრანკვისტი

სკანდინავიელთა კაპიტანი გამორჩეული იყო მატჩში. დაცვაში ჩინებულად გაართვა თავი საქმეს, პენალტიც გაიტანა და მის გუნდს შეტევაშიც წინ მიუძღოდა.

საბოლოო ცხრილი:

1.შვედეთი	3	2	0	1	5:2	6
2.მექსიკა	3	2	0	1	3:4	6
3.ს.კორეა	3	1	0	2	3:3	3
4.გერმანია	3	1	0	2	2:4	3

ხორვატია და არგენტინა მერვედფინალში გავიდნენ

ნიგერია-არგენტინა 1:2

სანკტ-პეტერბურგი. კრესტოვსკი

0:1 მესი (14), 1:1 მოზესი (50, პენ), 1:2 როხო (86)

ნიგერია: უზოჰო, ბალოგუნი, ეკონგი, ომერუო, მოზესი, ეტებო, ობი მიკელი, ნდიდი, იდოვუ, მუსა, იჰენაჩო (იგალო 46)

არგენტინა: არმანი, მერკადო, ოტამენდი, როხო, ტალიაფიკო (აგუერო 80), პერესი (პავონი 60), მასკერანო, ბილია, დი მარია (მესა 72), მესი, იგუაინი

არგენტინამ ბეწვის ხიდზე გაიარა. ლეო მესი რომ თავის არიას შეასრულებდა, ველოდით. მისგან კიდევ ბევრ სოლოს მოველით. სწორედ მესიმ გახსნა ანგარიში ნიგერიასთან და საფუძველი ჩაუყარა არგენტინელთა გამარჯვებას. გოლი კი კლასიკა იყო – მიღება, დამუშავება, დარტყმა... მესისებური...

თუმცა, არგენტინას ეტყობა, რომ მხოლოდ მესი ჰყავს. გუნდი დიდად ვერ ბრწყინავს. იყო თუ არ იყო პენალტი მათ კარში, ამას არ აქვს მნიშვნელობა. ნიგერიასთან ბევრად უკეთეს თამაშს ველოდით. და მაინც, არგენტინა მერვედფინალშია.

გამარჯვების გოლი მარკუს როხომ გაიტანა. ვისაც არ გახსოვთ: წინა მსოფლიო ჩემპიონატზეც არგენტინელებმა 2:1 დაამარცხეს ნიგერია და მაშინაც გოლები მესიმ და როხომ გაიტანეს, შემდეგ კი ფინალი ითამაშეს. ვნახოთ, განმეორდება თუ არა ისტორია. მანამდე საფრანგეთია გასავლელი – მერვედფინალში.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ლეო მესი

შეგვეძლო, როხოც დაგვესახელებინა, მაგრამ სადაც მესი არის და ბრწყინავს, იქ სხვა ვინმეს გამოყოფა შეუძლებელია. ლეომ გაიტანა, კიდევ შეეძლო გატანა, თანაგუნდელებსაც ამარაგებდა, ბევრი იშრომა და მესია...

ისლანდია-ხორვატია 1:2

როსტოვი. როსტოვ არენა

0:1 ბადელი (53), 1:1 სიგურდსონი (76პ), 1:2 პერიშიჩი (90)

ისლანდია: ჰალდორსონი, საევერსონი, იგნასონი, რ. სიგურდსონი (სიგუორსონი 71), მაგნუსონი, გუნარსონი, ჰალფრედსონი, ჯ. გუდმუნდსონი, გ. სიგურდსონი, ბიარნასონი (ტრაუტარსონი 90), ფინბოგასონი (ა. გუდმუნდსონი 85)

ხორვატია: კალინიჩი, იედვაი, ჩორლუკა, კალეტა-ცარი, პივარიჩი, მოდრიჩი (ბრადარიჩი 70), ბადელი, პიაცა (ლოვრენი 70), კოვაჩიჩი (რაკიტიჩი 82), პერიშიჩი, კრამარიჩი

ხორვატიის ნაკრების გულშემატკივართა რიცხვი მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე იმატებს. ზლატკო დალიჩის გუნდი შესანიშნავ ფეხბურთსაც აჩვენებს და არც სამართლიანი თამაშის პრინციპებს ივიწყებს. ისლანდიის ნაკრებთან ხორვატებს წაგებაც აწყობდათ, რითიც ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტსა და კონკურენტს, არგენტინის ნაკრებს ჯგუფში ჩატოვებდნენ, მაგრამ მეორე შემადგენლობითაც მოუგეს ისლანდიელებს.

„ვიკინგებმა“ იბრძოლეს. ბადელის გოლის შემდეგ გათანაბრებაც მოახერხეს, კიდევ ერთი გოლი და მერვედფინალში იქნებოდნენ, მაგრამ პერიშიჩის გოლმა ყველა იმედი გადაუწურა. ისლანდია სახლში მიდის, ხორვატია და არგენტინა კი ტიტულისთვის ბრძოლას აგრძელებენ.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ლოვრე კალინიჩი

ზლატკო დალიჩს მეკარის პოზიცია არ ადარდებს. შუბაშიჩის არყოფნაში კალინიჩმა ჩინებულად წარმოაჩინა თავი და ღირსეულად შეცვალა. რამდენიმე მომენტში გუნდი გოლისგან იხსნა და ამით არგენტინას გაუხსნა გზა.

საბოლოო ცხრილი:

1.ხორვატია	3	3	0	0	7:1	9
2.არგენტინა	3	1	1	1	3:5	4
3.ნიგერია	3	1	0	2	3:4	3
4.ისლანდია	3	0	1	2	2:5	1

აგრესიულმა გეი-გედებმა მოცურავეები დაატერორეს

ავსტრიაში აგრესიული გეი-გედების წყვილს სხვა წყალსატევში ასახლებენ იმის გამო, რომ ისინი მუდმივად თავს ესხმიან მოცურავეებსა და გამვლელებს.

ტბა გრუნდლიზში ბინადარი ფრინველები თავს ესხმოდნენ ყველას, ვისაც, მათი აზრით, მათი ბუდის განადგურება სურდა. ექსპერტები თვლიან, რომ გედები ბუდეში ჩაგდებულ პლასტმასის ჭიქებს კვერცხებად მიიჩნევდნენ და საკუთარი შთამომავლობის დაცვას ცდილობდნენ.

აღსანიშნავია, რომ გედების თავდასხმის შედეგად ერთ-ერთ მათ მსხვერპლს სხეულზე ღრმა 10 სანტიმეტრიანი ნაჭრილობევი დარჩა.

ტბის მახლობლად მდებარე დასახლების ხელმძღვანელმა ფრანც შტაინეგერმა ფრინველების გარეულ ცხოველთა თავშესაფარში გადაყვანის გადაწყვეტილება მიიღო, მიუხედავად იმისა, რომ სპეციალისტები მათ დახოცვას ურჩევდნენ.

გედები დაიჭირეს და მალე ტიროლში გადაიყვანენ, სადაც მათ უფრო ვრცელი ტერიტორია ექნებათ.

მოჩხუბარმა იგუანებმა გზა გადაკეტეს

ერთმანეთთან სასტიკ ორთაბრძოლაში ჩართულმა იგუანებმა კაფეს ავტოსადგომის მახლობლად მდებარე გზა გადაკეტეს და მანქანების მოძრაობა შეაფერხეს. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ამერიკულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ვიდეორგოლი ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ბოკა-რატონში იქნა გადაღებული. ავტოსადგომიდან გამომავალი მანქანის მძღოლმა შენონ მოსკოფმა, შენიშნა მოჩხუბარი ცხოველები. თავდაპირველად ერთი რეპტილია მეორეს თავზე კბენდა.

– რა ჯანდაბაა, ცხოვრებაში მსგავსი არაფერი მინახავს! ისინი რა, გაიჭედნენ? – იკითხა მანქანის ერთ-ერთმა მგზავრმა ქალბატონმა.

შემდეგ იგუანები ერთმანეთის პირისპირ დადგნენ, მერე კი ერთმანეთის ირგვლივ დაიწყეს მოძრაობა და ერთმანეთისთვის კბენას ცდილობდნენ.

– ისინი ჩხუბობენ? თუ ეს მათი საქორწინო ცეკვაა? – კითხულობს ქალის ხმა კადრს მიღმა. ცხოველები ორთაბრძოლას აგრძელებდნენ და ერთმანეთს მცირე შესვენებებით უტევდნენ. ქალებმა ორთაბრძოლის ბოლომდე ნახვა ვერ შეძლეს, ვინაიდან გზაზე მოძრაობა შეფერხდა და ამიტომ იძულებულნი გახდნენ, წასულიყვნენ.

მიწისძვრამ იაპონელი გოგონას პორნოთი გატაცება გამოამჟღავნა

იაპონიაში მომხდარმა მიწისძვრამ უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო გოგონა. კარადიდან პორნოჟურნალები გადმოცვივდა, რომლებიც გოგონას დედამ ნახა.

ინციდენტი ოსაკას პრეფექტურაში რამდენიმე დღის წინ მოხდა. ბოლო წლების განმავლობაში ერთ-ერთი უძლიერესი მიწისძვრის შედეგად მრავალ სახლში კარადები გაიხსნა და იქიდან ნივთები გადმოცვივდა. იგივე მოხდა ანონიმად დარჩენის მსურველი გოგონას სახლშიც. ეროტიკული შინაარსის ჟურნალები მულტსერიალების პერსონაჟებით, რომელსაც ის კარადის ზედა თაროზე მალავდა, გადმოცვივდა და ისინი მისმა გაოგნებულმა დედამ ნახა.

გოგონას სოციალურ ქსელებში მომხდარის გამო თანაუგრძნეს იაპონური ანიმაციის პერსონაჟების სხვა მოყვარულებმა. ზოგიერთმა კი ურჩია, რომ ამიერიდან ასეთი ჟურნალები ისეთ კოლოფში შეინახოს, რომელიც იკეტება.

მიწისძვრა იაპონიაში ივნისის შუა რიცხვებში მოხდა და მისი სიმძლავრე 5,5-დან 6,1 ბალამდე აღწევდა. სახლებში ჩაიმსხვრა მინები და ჭერი ჩამოინგრა. 370 ადამიანი კი დაშავდა.

ავსტრალიელმა გველს ბაყაყი პირიდან გამოაცალა

ავსტრალიელმა გველებზე მონადირემ გველს პირიდან თითქმის გადაყლაპული ბაყაყი გამოაცალა და გამოაცოცხლა.

გველებზე მონადირე ჯეიმე ჩეპელი, რომელიც კვინცლენდის შტატის ქალაქ ტაუნსვილიდანაა, გამოძახებაზე მივიდა ოჯახში, რომელმაც მას მათი ნაკვეთიდან წერტილოვანი დენდრელიაფის მოშორება სთხოვა. როდესაც მან გველი ხელში აიყვანა, მის ყელში დაახლოებით 20 სანტიმეტრის სიღრმეზე ბაყაყი აღმოაჩინა. შეშინებულმა ქვეწარმავალმა ნანადირევი უკანვე ამოანთხია. ჩეპელს თავიდან ეგონა, რომ ბაყაყი დაიღუპა, მაგრამ მოულოდნელად მან ფეხი გაატოკა.

მაშინ ჩეპელმა გადაწყვიტა მას დახმარებოდა. ბაყაყი ზურგზე დააწვინა და თითით გულის მასაჟი გაუკეთა.

– მის მკერდს დავაწექი, რათა მასში ჰაერი შესულიყო და ის გაცოცხლდა. სიმართლე გითხრათ, საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდი, მაგრამ ის ნამდვილად გაცოცხლდა, – განაცხადა ჩეპელმა.

აღსანიშნავია, რომ ჩეპელმა პირველად არ გადაარჩინა ცხოველი გულის მასაჟით. მან რამდენიმე თვის წინ ასევე სიცოცხლე დაუბრუნა ხვლიკს.

მსოფლიოს ყველაზე მახინჯი ძაღლი ინგლისური ბულდოგი გახდა

მსოფლიოს ყველაზე მახინჯ ძაღლად აშშ-ში ჩატარებულ კონკურსზე ცხრა წლის ინგლისური ბულდოგი ჟა-ჟა დასახელდა. მის პატრონ მეგან ბრეინარდს გადაეცა ფულადი ჯილდო 1,5 ათასი დოლარი.

შინაური ცხოველის პატრონმა ის სპეციალურ ვებ-გვერდზე ნახა. ჟა-ჟას განსაკუთრებულ მახასიათებელს მისი გრძელი ენა წარმოადგენს.

მიმდინარე წელს აღნიშნული კონკურსი 30-ედ გაიმართა და ტრადიციულად ამერიკის ქალაქ პეტალუმაში ჩატარდა. მთავარი პრიზის მოსაპოვებლად 14 ძაღლი იბრძოდა.

კონკურსის ორგანიზატორებმა ის იმ მიზნით დააარსეს, რომ ადამიანებმა მოსავლელად არა მხოლოდ ლამაზი ცხოველები აიყვანონ.

– ეს თავშესაქცევი და სულელური საშუალებაა იმის დასამტკიცებლად, რომ ყველა ცხოველი იმსახურებს უსაფრთხო ბინას და მოსიყვარულე ოჯახს, – განმარტა კონკურსის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა.

ჩინელმა მსუქანმა ქალებმა უფასოდ გართობის უფლება მიიღეს

ჩინეთის ქალაქ სიანის გასართობი პარკის მფლობელებმა ქალებს, რომელთა წონა 61,8 კილოგრამს აღემატება, მასში უფასოდ შესვლის უფლება მისცეს.

ფართო თემატური პარკი ტანის დინასტიის ტრადიციული არქიტექტურითა ცნობილი. კონკურსი ეფუძნება ცნობილ ტანელ მხევალს იან იუიხუანს, რომელიც ცნობილი იყო როგორც უძველესი ჩინეთის ოთხიდან ერთ-ერთი ლამაზმანი. აღსანიშნავია, რომ იმ დროს სილამაზის სტანდარტებში იგულისხმებოდა, რომ მომხიბვლელი გოგონა ოდნავ მსუქანი უნდა ყოფილიყო.

პარკის წინ ორგანიზატორებმა უზარმაზარი სასწორი დადგეს. გოგონები დიდ ჯამში უნდა ჩამჯდარიყვნენ. აქცია 15-დან 19 ივნისამდე გრძელდებოდა, ხოლო ყოველდღე მხოლოდ 618 უფასო ბილეთი იყო ხელმისაწვდომი.

შედეგად პარკის შესასვლელთან გრძელი რიგები იქმნებოდა.

– ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ჩემი ზედმეტი წონა ჩემ უპირატესობად გადაიქცეოდა, – აღნიშნა პარკის ერთ-ერთმა დამთვალიერებელმა.

ზღვის ვარსკვლავმა პლაჟზე გაისეირნა

ამერიკის პლაჟზე ერთ-ერთმა დამსვენებელმა ვიდეოზე აღბეჭდა თუ როგორ ნელა მისეირნობდა ქვიშაზე ზღვის ვარსკვლავი.

მომხდარი ფლორიდის შტატის დასახლებული პუნქტის ჯუპიტერ-აილენდის პლაჟზე იქნა გადაღებული. თვითმხილველის მიერ გადაღებულ კადრებში ჩანს, თუ როგორ გადაადგილდება წყლის მიქცევის დროს ცხოველი ქვიშაზე თავისი ცხრავე საცეცის დახმარებით.

აღსანიშნავია, რომ ზღვის ვარსკვლავის „გასეირნება“ საკმაოდ იშვიათ სანახაობას წარმოადგენს, ვინაიდან ისინი წყალში ყოფნას ამჯობინებენ და მისი დიდხანს ხმელეთზე უწყლოდ ყოფნა მათთვის სახიფათოა. თუმცა მათ შეუძლიათ ქვებსა და სანაპირო ქვიშაზე საცეცებზე არსებული ათასობით მისაწოვარის გამოყენებით გადაადგილდნენ. ზოგიერთ მათგანს შეუძლია წამში 50 მილიმეტრი სიჩქარე განავითაროს.

უცნაური შეფერილობის პანდამ მეცნიერები გააოგნა

სპეციალისტები ვერ ახერხებენ ახსნან, თუ რატომ აქვს ჩინეთის პროვინცია შენისიში მდებარე ნაკრძალის ტერიტორიაზე მცხოვრებ პანდას ყავისფერი შეფერილობის ბეწვი.

პანდა სახელად კიზაი უკვე ცხრა წლისაა და ის ერთადერთი ცნობილი ამ სახეობის არსებაა, რომელიც ყავისფერ-თეთრი შეფერილობისაა. ის სპეციალისტების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. ცხოველი ველურ ბუნებაში ორი თვის ასაკში მყოფი აღმოაჩინეს. მეცნიერების აზრით, ის დედამ მიატოვა.

ადრე თვლიდნენ, რომ კიზაი მსოფლიოში ასეთი შეფერილობის ერთადერთი პანდა იყო, მაგრამ მოგვიანებით ამავე პროვინციაში ასეთივე შეფერილობის მისი გარეული თანამოძმე აღმოაჩინეს. სულ 10 ჩანაწერი არსებობს ასეთი შეფერილობის პანდასთან შეხვედრის თაობაზე და ყველა მათგანი ჩინეთის მხოლოდ ერთ პროვინციაში ნახეს.

ახლახან შეიქმნა კვლევითი ცენტრი, რომელიც დიდი პანდების ყავისფერი შეფერილობის ფენომენს შეისწავლის. სპეციალისტებს იმედი აქვთ, რომ მეცნიერების ჯგუფი დაადგენს, თუ რატომ აქვს კიზაის ასეთი უნიკალური შეფერილობა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

28 ივნისისთვის

ვერძი – საყიდლებზე წასვლას პლანეტები დღეს არ გირჩევენ. ნავაჭრით უკმაყოფილო დარჩებით. ** კურო** – ძალზე კეთილისმყოფელი დღეა. გიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. პროფესიონალური და პირადი საკითხების გადასაწყვეტად მშვენიერი პერიოდია. **ტყუპები** – ირწმუნეთ საკუთარი ძალების. სხვის იმედზე ნუ იქნებით. თქვენი მომხიბვლელობა საოცრად იზრდება. **კირჩხიბი** – შესაფერისი დროა გარემოს შესაცვლელად და გასართობად. იზრუნეთ საკუთარ თავზე. **ლომი** – ნებისმიერ სფეროში დიდი წინდახედულობა გმართებთ. ერიდეთ კონფლიქტს ხელმძღვანელობასთან. **ქალწული** – აფორიაქებული ხართ. საქმიანი პარტნიორის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას უცებ ნუ დათანხმდებით. **სასწორი** – გადაღლილი ხართ. დაისვენეთ. ემოციები მოთოკეთ და მხოლოდ პოზიტიურზე იფიქრეთ. **ღრიანაკალი** – მოვლენები ძალზე სწრაფად ვითარდება. ნუ გარისკავთ. ერიდეთ კომერციულ გარიგებებს. **მშვილდოსანი** – ძალზე იღბლიანი დღეა, მაგრამ ექსპერიმენტებისგან თავი უნდა შეიკავოთ. უმჯობესია, მშვიდად იმუშაოთ. **თხის რქა** – ერიდეთ ხალხმრავლობას. გიჯობთ, განმარტოვდეთ, იკითხოთ წიგნები, უბრალოდ, დაისვენოთ ყოველდღიური ალიაქოთისაგან. **მერწყული** – უსიამოვნებას თავიდან მხოლოდ დაკვირვებულობა და შორსმჭვრეტელობა აგაცილებთ. სპონტანურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. **თევზები** – პირადი ცხოვრებით უკმაყოფილო ხართ. დროა, პარტნიორთან ურთიერთობაში კორექტივები შეიტანოთ, ოღონდ ისე, რომ საკუთარი თავი არ დააზარალოთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. ქართული ხალხური ცეკვა; 2. სახელმწიფოს ერთ-ერთი სიმბოლო; 3. იტალიაში მოთამაშე ქართველი ფეხბურთელი; 4. მოღრუბლული დილა; 7. ჩეხური საავტომობილო ფირმა; 9. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, ბოროტი არსება; 12. სამეთვალყურეო გემი ნავსადგურში; 14. საჭმელი სოკო; 15. საფეხურებად გადმომჩქეფარე ხელოვნური წყალვარდნილი; 17. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 20. ბალნეოლოგიური კურორტი რაჭაში.

თარაზულად: 5. აეროპორტი სოხუმის მახლობლად; 6. ყორნისებრთა ოჯახის მოლაპარაკე ფრინველი; 8. ბალზაკის ცნობილი ნოველა; 10. კომედიური ჟანრის მუსიკალური წარმოდგენა; 11. სინარნარე, მოხდენილობა მოძრაობაში, ცეკვაში; 13. მონადირე ძაღლის ჯიში; 16. დამბლა, მოქმედების უნარის დაკარგვა; 18. ბარიტის საბადო რაჭაში; 19. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი შიდა ქართლში; 21. მკბენარა მწერი; 22. გემის მიერ განვლილი მანძილის საზომი ხელსაწყო; 23. მინერალი, ძვირფასი მოსაპირკეთებელი სამშენებლო მასალა.

შეადგინა
თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ფარმაკოპეა; 2. „ხორუმი“; 3. შარიათი; 4. თოიძე; 5. შატბერდი; 6. „ჩანგი“; 7. გირკანი; 9. კოვბოი; 13. პულსი; 17. ქუჯი; 18. „აია“.

თარაზულად: 1. ფსირცხა; 3. შუამთა; 8. ჩანახი; 10. კუბრიკი; 11. ქარვა; 12. მერკელი; 14. სოპოტი; 15. ტყიბული; 16. დაქსი; 19. მოსადი; 20. დაუგავა; 21. ყირიმი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ზაქათალა; 2. დათვი; 3. ტრაგედია; 4. ფოლადი; 7. ანისი; 9. სტეპი; 12. სტეფენსონი; 14. ალმასი; 15. პრიკაზი; 17. „ჰეზბოლა“; 20. სიათა.

თარაზულად: 5. საგურამო; 6. ბარამბო; 8. „იავნანა“; 10. მასანდრა; 11. ფლინტი; 13. „ამარეტო“; 16. ვილჰელმი; 18. „მედეა“; 19. ნიყვი; 21. მიქსტი; 22. ოზურგეთი; 23. დუბლინი.

სამგლოვიარო განცხადებები

პაატა გოროდინსკის

ნათელი სახის ნათელ ხსოვნას!

შვილო პაატა, მეხმა გადაურბინა დედაშენს 1999 წლის 28 ივნისს და გავიდა 19 წელი. საშინელი ტანჯვით. წამებით, მოგონებებით, მაგრამ არაფერი არ შველის ამ რეალობას. არადა, რა დრო იყო, როცა დაიბადე, სიხარულის, იმედის, სიამაყისა და სიცოცხლის მომტანი. ეს იყო 1964 წლის 30 სექტემბერი. ეს წელი კი შენი ამქვეყნად მოსვლის დღეა და ამას პაატას დაბადების დღე ჰქვია, რომელიც დაამთავრე 1999 წლის 28 ივნისს სურვილებისა და ოცნებების აუსრულებლად. შენ წაგერთვა ლაღი და ბედნიერი ცხოვრება, რომელმაც თან გაიყოლა ჩემი ცხოვრების ბედნიერება და დამიტოვა მწარე სიბერე.

სულ მაქვს თავში ასეთი კითხვა, რატომ, რისთვის?! გგონია შევეგუე ამ მდგომარეობას? არა, უბრალოდ თავს ზევით ძალა არ არის. რომ გაიზარდე, შეშინებული აჩრდილივით ჩუმად შენს უკან დავდიოდი. სულ შიში მქონდა, არ ვიცი, რისი... აი, თურმე რისი... რამდენი რამის მოთმენა და ატანა დამაკისრე, აღარც შეძლება მაქვს და აღარც დაცემის უფლება.

როგორ ვიფიქრებდი, 19 წელს ვიცხოვრებდი უშენოდ. გაუსაძლისი სასჯელი დამიტოვე, დიდი ნაღველითა და ამოუვსებელი კეთილით.

პაატა, შვილო, მოცემულია იესოს წიგნში, ნუ სტირი, დედი, თუ გიყვარვარ, მელაპარაკე, როგორც მელაპარაკებოდი, მე გაღმით ვარ და მესმის შენი. ჰოდა, თუ გესმის და გეცოდები, მომელანდე მაინც, მენატრები გაუსაძლისად... ნუ მიმატოვებ შეუშრობელ ცრემლთან და მოგონებასთან. მოდი, დამიკაკუნე, მითხარი, „დე, მოვედი“. მაგრძნობინე, როგორც წასვლას მაგრძნობინებდი 8 თვის განმავლობაში, რომელსაც ვერ ვხვდებოდი.

ვიცი, რომ ახლოს ხარ, მელოდები, უშენობა ძალიან მტკივა, ალბათ გტკივა და გენატრები, ჩემო ბედნიერებამდე გაუბედურებულო. აღარ მაქვს ძალა, მაგრამ შენი საფლავისთვის თავს ვიკლავ, რომ ბალახი არ ამოვიდეს. ეს არის ამოსუნთქვის დიდი სევდა, რომლის გამოსწორება შეუძლებელია. ეს სევდა შენ ხარ, შვილო, პაატა... რა ჩაუქრობელი ცეცხლი დატოვე დედის გულში, რატომ გააჩერე დრო შენთვის და ჩემთვის შენ ისევ 34 წლის ხარ.

ყველა მეცოდებოდა და განვიცდიდი მათ გაჭირვებას. არის ასეთი საშინელი გამოთქმა: „ნუ შეიცოდებ, თუ არა შენ გახდები შესაცოდებელი“. ეს მართალი ყოფილა. შვილო, არა მგონია მტერი მყავდეს ისეთი, რომელმაც იცოდეს შვილის სიყვარული, ისე როგორც მე მიყვარდი და მიყვარხარ ახლა... ამიტომ ამ „სულის ტანჯვას“ და საშინელ სენს ვერავის ვუსურვებ.

შენ იყავი სიამაყე და მშობლების იმედი. 19 წელი დედაშენის უიმედობა არის. იტყვიან, „სამართლიანობა სიდიადეა საკუთარი თავის ფლობისა, ტანჯვა კი სულის ავადმყოფობაა“, რომელსაც არ ვიმსახურებდი, მინდოდა ბედნიერი ხედვა ჰქონოდა ყველას.

მინდა, ყველაფერზე გელაპარაკო, გზაზე დამაყენო. გთხოვ, მითხარი, აქედან რომელი...

არის ასეთი გამონათქვამი: „სიკეთის გაკეთება დიდი ცოდნაა, სიბოროტე კი უგუნურებაა“. მე არ ვიცი, რომელი უნდა ამერჩია, მერჩივნა პირველი. სინამდვილეში ასეა ცხოვრებაში, არავინ უნდა შეიცოდო, თუ არა წაგებული დარჩები.

შვილო, კიდევ არის ასეთი გამონათქვამი: „საყვარელ ადამიანს მაშინ კი არ კარგავ, როცა ისინი ამქვეყნიდან მიდიან, არამედ როცა შენ თავს კარგავ“. ალბათ, მე და მამაშენს იმ დროს თავი დაკარგული გვქონდა, თუ არა ამის გადატანა როგორ შეიძლებოდა.

შენთან განშორებით დანთებული ცეცხლის დარდი ჩაუქრობელია დედის გულში. ჩემო სახენათელო, სინათლე არ მოგკლებოდეს!

შენთვის კელაპტრად ანთებული შენი დე

— ღუღუნი ჯუღელი

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.



პეტრე ოცხელის მფრინავი მღებავი საგამოფენო დარბაზიდან ქუჩაში გავიდა

30 წლის ასაკში რეპრესიებს შეწირული მხატვრის პეტრე ოცხელის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნამუშევარი მფრინავი მღებავი საგამოფენო სივრციდან ქუჩაში გავიდა.

მარჯანიშვილზე, თიბისი ბანკის შენობის წინ მდებარე კორპუსი პეტრე ოცხელის მფრინავი მღებავით გალამაზდა.

გიორგი კალანდია, ხელოვნების სასახლის დირექტორი:

– თიბისი ბანკის და ხელოვნების სასახლის თანამშრომლობის ბრწყინვალე შედეგი! პეტრე ოცხელის „მფრინავი მღებავი“ ქუჩაშია. პირველი სამუზეუმო ექსპონატი, რომელმაც საგამოფენო დარბაზი დატოვა და ქუჩაში გამოვიდა!

„ვერის უბნის მელოდიები“ ინგლისურად დაიდგა

რეჟისორ გიორგი შენგელაიას მიერ დადგმული მიუზიკლი „ვერის უბნის მელოდიები“ ინგლისურად დაიდგა.

მისი პრემიერა 28 ივნისს ტექნიკური უნივერსიტეტის თეატრის დარბაზში გაიმართება. მიუზიკლს წარმოადგენს პირველი ინგლისურენოვანი თეატრი საქართველოში, რომელიც შარშან დაარსდა.

თამარ სვიანაძე, თეატრის ხელმძღვანელი:

– ჩვენი თეატრის მიზანია ცნობილი ქართული ნაწარმოებების ინგლისურ ენაზე თარგმნა და სპექტაკლის სახით წარმოდგენა. ჩვენი იდეაა ქართული თეატრალური კულტურის საერთაშორისო მასშტაბით გატანა და ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა, რაშიც მონაწილეობას იღებენ უაღრესად ნიჭიერი პატარა მსახიობები.

თეატრმა წარმატებით მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო ფესტივალში სპექტაკლით „ჩხიკვთა ქორწილი“, ახლა კი მაყურებელს ინგლისურად „ვერის უბნის მელოდიებს“ წარვუდგენთ.

ნანუკა ლითანიშვილი დაბინძურებული ჰაერის პრობლემის მოგვარებას ითხოვს

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის მსახიობი ნანუკა ლითანიშვილი ქვეყანაში დაბინძურებული ჰაერის პრობლემის მოგვარებას ითხოვს და გამოთქვამს ეჭვს, რომ ვიღაცას გასაცოდავებული საქართველოს მოსახლეობის ამოხოცვა უნდა:

– გაუთავებლად ვაზიარებთ მასალებს ამ საზარელი გამონაბოლქვის, დაბინძურებული ჰაერის, კატასტროფული მაჩვენებლის, მომწამვლელი ტყვიის, სნეულებების, სიკვდილის და ამით გამოწვეული ათასი უბედურების სტატუსებს და რა?

ვისაც ეხება ამ პრობლემის, ამ ნაძირლობის და მავნებლობის მოგვარება, იმას სულ ფეხებზე კიდია, ჩვენ? მეტი არაფრის შნო რომ არ გვაქვს, მარტო ვიღაც არარსებული „პატრონისგან“ მოვითხოვთ არარსებული კანონების დაცვას, რეალურად კი უკიდურესად მძიმეა ეს ყველაფერი!

თითქოს ვიღაცას ძალიან უნდა ამ გასაცოდავებული, არაფრისმაქნისი, დაბეჩავებული საქართველოს მოსახლეობის ამოხოცვა!

დანიელ ჭონქაძის სახლ-მუზეუმს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა

დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ყვავილში მდებარე მწერლის დანიელ ჭონქაძის სახლ-მუზეუმს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორის ნიკოლოზ ანთიძის შესაბამისი ბრძანებით კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

სოფელ ყვავილის ცენტრალურ ნაწილში მდებარე ე.წ. „ჭონქაძეების დარბაზი“ მოქცეულია გვიანი მინაშენებით ორსართულიანი შენობის ცენტრალურ ნაწილში.

ამ სახლში სამი ათეული წლის განმავლობაში ცხოვრობდა ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე დანიელ ჭონქაძე. მწერლის გარდაცვალების შემდეგ ამ სახლში ცხოვრება განაგრძო მისი შვილის, გიორგის მეუღლემ, რუსის ქალმა. გიორგი ახალციხეში მუშაობდა გუბერნატორად. გიორგის გარდაცვალების შემდეგ სახლი დარჩა უპატრონოდ და თითქმის მთლიანად გაიძარცვა.

გასული საუკუნის 20-იან წლებში აქ გადმოიტანეს სკოლა, რომელიც მანამდე კერძო სახლში ფუნქციონირებდა. მოგვიანებით ამავე შენობაში გაიხსნა საბჭო. ნახევარ სახლში სკოლა იყო, ნახევარში საბჭო. შემდეგ სკოლა გაფართოვდა და შვიდწლიანი გახდა. დანიელ ჭონქაძის სახლს მოაშენეს ოთხი ოთახი, ხოლო საბჭოსთვის ცალკე შენობა აშენდა. როდესაც საბჭოს შენობა დაიწვა და საბჭო ისევ მწერლის სახლში გადავიდა. ამ დროისთვის ეს სახლი უკვე ცარიელი იყო, რადგან სოფელ ყვავილში სკოლისთვის ახალი შენობა აშენდა და სკოლაც იქ გადავიდა.

რამდენიმე წლის განმავლობაში დანიელ ჭონქაძის სახლში საბჭო, საფერშლო პუნქტი და ბიბლიოთეკა იყო. 70-იანი წლების ბოლოს დაიწყო შენობის რეაბილიტაცია, მოინგრა მეორე, გვიან დაშენებული სართული და აშენდა ახალი.

1984 წელს კი ამ სახლში დანიელ ჭონქაძის სახლ-მუზეუმი გაიხსნა და დღემდე ფუნქციონირებს.

„ოქროს ტალღამ“ გამარჯვებულები გამოავლინა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მა წითელი ხალიჩა გაიარეს და ნომინაციებში გამარჯვებულთა დასახელებაც დაიწყო.

ზედიზედ მეორედ წლის საუკეთესო ქალი შემსრულებელი სოფო ნიჟარაძე გახდა. მასთან ერთად ამ ნომინაციაზე წარდგენილნი იყვნენ ვერიკო ტურაშვილი და მეგი გოგიტიძე. ჟიურიმ საუკეთესო სამეულიდან გამარჯვებულად სოფო ნიჟარაძე დაასახელა.

სოფო ნიჟარაძე:

– დიდი მადლობა. მადლობა ფორტუნას, „ოქროს ტალღას“, საპატიო ჟიურის. მეორე წელია უკვე, ამ სიყვარულს ვიღებ, მოულოდნელი და ამავე დროს საოცრად სასიამოვნოა, კიდევ უფრო საამაყო და დიდი პატივია ერთადერთი და განუმეორებელი ნანი ბრეგვაძისგან მიღებული ჯილდო. მადლობა, კიდევ ერთხელ, ყველას, ამ ბედნიერი წამებისთვის.

ნომინაციაში ქართული მუსიკის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის გიო ხუციშვილი დაჯილდოვდა. გიოს ჯილდო მისმა შვილმა ზუკა ხუციშვილმა ჟურნალისტ ეკა ხოფერიასგან მიიღო.

ზუკა ხუციშვილი:

– ძალიან დიდი მადლობა. მგონი, ხვდებით, ჩემთვის ძალიან რთულია აქ ყოფნა, გიოს მაგივრად საუბარი. სულ ახლახან ფილარმონიის წინ გაიხსნა გიოს ვარსკვლავი. კონცერტის დროს შეუძლოდ იყო და ზუსტად აი, აქ იჯდა და შეასრულა რამდენიმე სიმღერა. ამხელა სიყვარული, პატივისცემა, ამხელა დარბაზი რომ ადგა და სიყვარული აჩუქა მამაჩემს, ასეთი არაფერი მინახავს. მე დავინახე, მამაჩემმა თქვენი სიყვარულისგან უკანასკნელად როგორ გაანათა, არასდროს დამავიწყდება და მე და ჩემი ოჯახი ყოველთვის ვალში ვიქნებით თქვენ წინაშე. დიდი მადლობა!.. მადლობა მთელ გუნდს და მადლობა მთელი ჩემი ოჯახისგან.

ხმის მიცემით რჩეული სიმღერის ტიტულის მოსაპოვებლად იბრძოდნენ გიგი ადამაშვილი, 33ა, ანრი ჯოხაძე, ბერა, თემურ თათარაშვილი, ნეკა სებისკვერაძე, ნოდიკო ტატიშვილი, ანი სირაძე, გია სურამელაშვილი, სოფო ნიჟარაძე, სალომე ბაკურაძე, ლაშა ღლონტი, ეკა კახიანი და ნინი ბადურაშვილი, გიორგი სუხიტაშვილი, მაგდა ვასაძე, მარკუს მეტრეველი, თამთა ჭელიძე, ოთო ნემსაძე, მეგი გოგიტიძე, ანდრია გველესიანი, სოფო ბედია, გიო ხუციშვილი, სტეფანე, ვერიკო ტურაშვილი, პანჩო, დათო არჩვაძე, სოფო გელოვანი, პაატა თედიაშვილი, დათო გომართელი...

ყველაზე მეტი 109.576 ხმა გიგი ადამაშვილმა დააგროვა სიმღერით „ქარი ქრის“, ხოლო ყველაზე ცოტა 49 ხმა დათო ნეფარიძემ და გია კორკოტაშვილმა, იგივე კორკოტამ დააგროვეს სიმღერით „ეგ თვალები“.

„ოქროს ტალღის“ რიგით მეხუთე დაჯილდოების ცერემონიალი წვეულებით დასრულდა, სადაც სადღესასწაულო ტორტი გაიჭრა.

ირაკლი ნოზაძე მართვით სუნთქვაზე აღარ არის

„ქუჩის ბიჭების“ წევრი ირაკლი ნოზაძე მართვით სუნთქვაზე აღარ არის და გონზეც მოვიდა. ინფორმაცია ამის შესახებ მისმა მესამე მეუღლემ ია დუდაშვილმა გაავრცელა:

– ძალიან დიდი მადლობა გვერდში დგომისთვის. ბოდიშს გიხდით, რომ ყველას ვერ გპასუხობთ. უკეთესად არის ირაკლი, მართვით სუნთქვაზე აღარ იმყოფება, გონზეა და საუბრობს. თქვენი გვერდში დგომით და უფლის წყალობით, ყველაფერი კარგად იქნება.

ქეთევან კიკნაძემ ნიკუშა შენგელაიას ბოდიში მოუხადა

მარჯანიშვილის თეატრის მსახიობმა ქეთევან კიკნაძემ მხატვარ ნიკუშა შენგელაიას მამის გიორგი შენგელაიას გალანძღვის გამო ბოდიში მოუხადა:

– მე ბოდიში მინდა მოვიხადო ნიკუშა შენგელაიას წინაშე, მამა მაინც მამაა.

მაგრამ ნერვებმა ძალიან მიმტყუნა, შენი შვილები რომ უზრუნველყოფილი არიან, ეს ცოტაა? მაგრამ ეს ყველაფერი ხომ სოფიკოა, ვერიკოა და მიშა ჭიაურელი და არა, სამი ფილმი..

ნიკუშა! მიყვარხარ და მე ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა სოფიკოსთან, მისი გარდაცვალება ჩემთვის შემაძრწუნებელი იყო. არასოდეს მიფიქრია ლექსი დამეწერა, მან დამაწერინა პირველი ლექსი, ეს ჩემთვისაც უცნაური იყო. ნათელში იყოს.

დათო არჩვაძემ დიმა ჯაიანს სიმღერა მიუძღვნა

ანსამბლ „ქართული ხმების“ ახალი თაობის ერთ-ერთმა წევრმა დათო არჩვაძემ მსახიობ დიმა ჯაიანის ხსოვნას სიმღერა მიუძღვნა, რომლის პრემიერაც მალე გაიმართება:

– მე სიმღერა მივუძღვენი დიმასგან გამოწვეულ ტკივილს დეკანოზ თავმას ჩოხელის ლექსზე და მალე წარმოგიდგენთ ლამაზი კლიპის სახით მე და ნანა ხურითი მის სამეგობროს, ოჯახს და სრულიად საქართველოს. ამ სიმღერაში დიმას დაკარგვის და აფხაზეთის დაკარგვის ტკივილი ერთად არის გაერთიანებული.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

28 ივნისისთვის

- აშშ დოლარი — 2.4559
- ევრო — 2.8651
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2506
- 100 რუსული რუბლი — 3.8999

ამინდის პროგნოზი 28 ივნისისთვის

იკითხეთ ქართული დეტექტივი ზაფხულის დღეებში!

19 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის პირველი ტომი

ალექსანდრე იასაღაშვილი
მგლის ბილიკი
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

22 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-2 ტომი

ალექსანდრე იასაღაშვილი
შავი ვარდი
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

26 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-3 ტომი

იორამ ჩადუნელი
საზღაური
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

29 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-4 ტომი

რომან გვენცაძე
საბედისწერო გასროლა
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

3 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-5 ტომი

ჯემალ ჩახავა
ქურდები და არიფები
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

6 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-6-7 ტომი

ავთანდილ ბუხრაშვილი
ვინ მოკლა ინსპექტორი
ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

10 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-8 ტომი

მაკა სეფაშვილი
დანაშაული აღარ მოხდება
ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

„ოქროს ტალღამ“ გამარჯვებულები გამოავლინა

თბილისის დიდ საკოცერტო დარბაზში, რადიოჰოლდინგმა „ფორტუნამ“ წლის სიმღერის დაჯილდოების ცერემონია „ოქროს ტალღა 2018“ გამართა. ის უკვე მეხუთე წელია იმართება. გრანდიოზული ღონისძიებით არა მხოლოდ კონკურსის, არამედ რადიო „ფორტუნას“ იუბილეც აღინიშნა, მას დაარსებიდან 20 წელი შეუსრულდა.

კომპეტენტური ჟიურის გამოკითხვის შედეგად, ცერემონიაზე დასახელდნენ 14 ნომინაციაში გამარჯვებულები, მათ შორის მთავარი პრიზის, წლის სიმღერის მფლობელიც. მე-15 ნომინაცია კი, ინტერნეტრჩეული, ხმის მიცემის წესით გამოვლინდა.

საღამოს სტუმრებისთვის მუსიკალური ნომრები წარმოადგინეს ეროვნულმა სიმფონიურმა ორკესტრმა ნიკოლოზ რაჭველის დირიჟორობით. მსმენელისთვის იმღერეს ნანი ბრეგვაძემ, ეკა მამალაძემ, ნატალია ქუთათელაძემ, სოფო ნიჟარაძემ, სტეფანემ, ნინო ქათამაძემ, „შვიდკაცამ“ და ნინა სუბლატმა. სპეციალურად „ოქროს ტალღისთვის“ თბილისში ჩამოვიდა ამერიკელი შემსრულებელი ლიზა ფიშერი. „გრემის“ მფლობელმა მომღერალმა ორკესტრთან ერთად თავისი რეპერტუარიდან რამდენიმე ცნობილი კომპოზიცია შეასრულა.

წელს „ოქროს ტალღაზე“ წარდგენილი იყო 100-ზე მეტი სიმღერა, რომლებსაც ქართველი მომღერლები ასრულებენ. დაჯილდოების ცერემონიალზე მიწვეულმა მომღერლებ-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

იუმორი

ცოლ-ქმარი ქუჩაში მიდის. ამ დროს გვერდით ჩავლილმა მამაკაცმა მისალმების ნიშნად ქუდი მოიხადა და თავი დაუკრა.

– როგორი ზრდილობიანია, – ეუბნება ქმარი ცოლს.

– ზრდილობიანი! შენ უნდა ნახო, ძილში როგორ ხვრინავს!

•••

ცოლი თანამდებობის პირ მეუღლეს ეკითხება:

– როგორია შენი ახალი მდივანი?

– ძალიან გამოცდილია, შემსრულებელი და მიხვედრილი.

– იმედი მაქვს, შენი ადრინდელი მდივანივით თოჯინა არ არის?!

ამ დროს მათი ხუთი წლის გოგონა მამას ეკითხება:

– მამიკო, როდესაც ზურგზე აწვენ, თვალებს ხუჭავს?

•••

ახალგაზრდა სექს-ტელეფონზე რეკავს. გოგონას ხმა ეკითხება:

– თქვენ ყველაზე მეტად ქალის რომელი სახელი მოგწონთ?

– თეა...

– ვაიმე, როგორ გაგიმართლათ, თეა მქვია. და ყველაზე მეტად როგორი ფერის თვალები მოგწონთ?

– თაფლისფერი.

– ვაიმე, სწორედ მასეთი ფერის თვალები მაქვს, როგორ გაგიმართლათ და როგორი ფიგურა გხიბლავთ?

– საშუალო სიმაღლის და ფეხები ძალიან რომ არ ჰქონდეს დაგრეხილი...

– ისევ გაგიმართლათ! საშუალო სიმაღლის ვარ და სწორი ფეხები მაქვს. და მკერდი, დიდი და რბილი?

– არა. პატარა და მკვრივი!

– ვაიმეე, როგორ გაგიმართლათ! სწორედ მასეთია ჩემი მეორე მკერდი, პატარა და მკვრივი...

•••

აეროფლოტის თვითმფრინავის ბორტგამცილებელი მგზავრს ეკითხება:

– მიირთმევთ რამეს?

– და რა არჩევანი მაქვს?

– ჰო თუ არა!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გუდ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით

დიეგო მარადონა: „უბრალოდ კისერი ამტკივდა და ახლა კარგად ვარ“

არგენტინის და ნიგერიის შეხვედრის დროს დიეგო მარადონა ძალიან ემოციურად იქცეოდა ტრიბუნებზე და მატჩის შემდეგ საავადმყოფოშიც მოხვდა.

როგორც თვითონ არგენტინელმა ლეგენდამ თქვა, მას უბრალოდ კისერი ასტკივდა, ამჟამად კი კარგად არის:

– მატჩის დროს კისერი ამტკივდა და ექიმმა სახლში წასვლა მირჩია, მაგრამ ჩემს გუნდს ვერ მივატოვებდი. ახლა თავს კარგად ვგრძნობ და არგენტინის გამარჯვებით ძალიან ბედნიერი ვარ.

არგენტინამ ნიგერია 2:1 დაამარცხა და მერვედფინალში გავიდა, სადაც საფრანგეთის ნაკრები დაუპირისპირდება.

ალექსანდრ გოლოვინით ჩელსიც დაინტერესდა



რუსეთის ნაკრების და მოსკოვის ცსკას ნახევარმცველი ალექსანდრ გოლოვინი მსოფლიო ფეხბურთის გრანდების ყურადღების ქვეშ მოექცა. ერთი კვირის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ გოლოვინის შეძენა იუვენტუსს სურდა, ახლა კი ასპარეზზე ჩელსიც გამოჩნდა, რომელიც მზად არის, ამ ტრანსფერში 22 მილიონი გადაიხადოს.

ცსკას ეს თანხა ეცოტავება და რუსები 30 მილიონს ითხოვენ, თუმცა შესაძლოა მათ ფასი დაიკლონ კიდეც.

გოლოვინი რუსეთში ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელად ითვლება. მსოფლიო ჩემპიონატზე მან უკვე შეძლო საჯარიმო დარტყმიდან გოლის გატანა.

სალაჰმა ეგვიპტელ ხალხს ბოდიში მოუხადა

მოჰამედ სალაჰმა ეგვიპტელ ხალხს მსოფლიო ჩემპიონატზე ნაჩვენები ცუდი შედეგების გამო ბოდიში მოუხადა.

სალაჰის თქმით, მის ნაკრებს არ ეპატიება ასეთი თამაში, თუმცა მომავალში ყველაფრის გამოსწორება შეიძლება.

– ნამდვილად არ მეგონა, თუ ასეთ ცუდ თამაშს ვაჩვენებდით, მაგრამ ახლა ბოდიშის მოხდის გარდა, სხვა არაფრის გაკეთება არ შემიძლია. მომავალში შეცდომები უნდა გამოვასწოროთ და ეგვიპტელი ხალხი გავახაროთ, – განაცხადა სალაჰმა.

ეგვიპტის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატზე სამივე თამაში წააგო და თავის ჯგუფში ბოლო ადგილზე გავიდა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

პუტინი: „ესპანეთთან რუსეთს მთელი გულით ვუქომაგებ“

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ესპანეთთან დაპირისპირებაზე ისაუბრა და თქვა, რომ მთელი გულით უგულშემატკივრებს თავის ქვეყანას და აუცილებლად უყურებს თამაშს, თუმცა ჯერ არ იცის, მივა თუ არა სტადიონზე:

– აუცილებლად ვუყურებ მატჩს და ძალიან მინდა, რომ გავიმარჯვოთ. ჯერ ზუსტად არ ვიცი, მივალ თუ არა სტადიონზე.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ა

შვეულად: 1. ღვინისა და დროსტარების ღვთაების პატივსაცემი დღესასწაული ძველ საბერძნეთში; 2. ძრავიანი ველოსიპედი; 3. პირველი ამერიკელი კოსმონავტი; 4. აკვიატებული შიში; 5. ყველაზე ძველი უნივერსიტეტი აშშ-ში; 6. კავკასიის ალპურ ზონაში ბინადარი გარეული თხა; 7. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 9. ბრაზილიური არაყი; 13. იტალიელი კინორეჟისორი; 17. იაპონური ბრინჯის არაყი; 18. ცხოველური საკვები პროდუქტი.

თარაზულად: 1. აზიის ქვეყნებში გავრცელებული რელიგია; 3. პოლიციის განყოფილების უფროსი აშშ-ში; 8. ქართველი მგოსანი; 10. ყავის მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა; 11. შავი, სამგლოვიარო ფერი; 12. მსოფლიოში ყველაზე ღრმა ტბა; 14. გოეთეს ტრაგედია; 15. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 16. აღმოსავლურ საკრავებზე დამკვრელთა პატარა ჯგუფი; 19. აშშ-ს სახელმწიფო მდივანი; 20. მე-17 საუკუნის ქართველი მხედართმთავარი; 21. ანსამბლ „როლინგ სტოუნზის“ ლიდერი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა